ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 ივნისი, 2019 №138 (8092) ფასი: 60 თეთრი

თორნიკე შარაშენიძე: „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ 2020 წელს არჩევნები მოიგოს“ გვ.4

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

გია ხუხაშვილი: „ანაკლიის პორტის საბოტაჟი მაინც გაგრძელდება“

„ამერიკამ დასვა რიტორიკული კითხვა, „ოცნებას“, ძალაუფლების შენარჩუნების გარდა, აქვს თუ არა სახელმწიფო ამოცანები“ გვ.3

„ამერიკას და ევროკავშირს ჩვენი საარჩევნო სისტემა გვ.5 არ აინტერესებთ“

გიორგი ახვლედიანი: „პომპეოს განცხადებებზე ხელისუფლება, ცხადია, იტყვის, რომ აი, ჩვენ დემოკრატიას გვიწონებენ, ოპოზიცია კი იტყვის, რომ ეს არის საშინელი კრიტიკა და შეფასებები“

ლადო სადღობელაშვილი: გვ.2 „ამერიკელებმა ივანიშვილს წასვლა მოსთხოვეს“

„ოცნების“ ლიდერი ცდილობს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ითამაშოს“

სამართალი გვ.7

ადვოკატი დოხტურიშვილი: „ლელა ქსოვრელი ბრალს არ აღიარებს“

გერის მიმართ ძალადობაში ბრალდებულს 2 წლით პატიმრობა მიესაჯა

სუსმა დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ გამოყენების ფაქტზე 3 პირი დააკავა გვ.4

ეკონომიკა გვ.5

ლევან ხაბეიშვილი: „ტაქსების რეფორმა აუცილებლად ჩავარდება“

თემურ ჭყონია: „ჩვენ გვინდა სწორი რეგულაციები“

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ განცხადებას ავრცელებს გვ.6

ბიძინა ივანიშვილი ისევ უმსხვილესი პანამელი ინვესტორია გვ.3

ISSN 1987-9385

5 ეკა ბესელია: „პერსონალური ანგარიშსწორებები პარლამენტის სირცხვილია“

8 ზელენსკიმ საკადრო ცვლილებები განახორცელა

7 ბორჯომში გარემოს დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები დაჭრეს

8 მოლდოვა საგარეო მმართველობის ქვეშ მოექცა

„ამერიკელებმა ივანიშვილს წასვლა მოსთხოვეს“

„ოცნების“ ლიდერი ცდილობს, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ითამაშოს“

შორენა მარსაგიშვილი

ლადო სადღობელაშვილი: „მმართველ პარტიაში ერთმანეთის ჭამა დაიწყო, ვინც გადარჩება, ის საარჩევნო სიაში მოხვდება“

რა მითითებები მიიღეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვაშინგტონში, რატომ ვერ აქტიურობს ღარიბაშვილი, რა ბედი ელის გახარიას და ბახტაძეს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– ამერიკამ საქართველოს მიმართ თავისი ინტერესი კვლავ გამოავლინა. რაღაც დროის მანძილზე ვაშინგტონი თბილისის მიმართ არანაირ ყურადღებას აღარ იჩენდა. ამას დაამატეთ ისიც, რომ აგერ უკვე წელიწადნახევარია აშშ-ს საქართველოში ელჩი არ ყავს. ამან ბუნებრივად გამოიწვია მოსკოვის გააქტიურება.

თეთრ სახლში კარგად დაინახეს, რომ საქართველოს მიმართ თუ ისევ არ გამოხატავდნენ ინტერესს, მათ ადგილს მოსკოვი დაიკავებდა და საქართველო რუსეთისკენ გადაიხრებოდა.

– ჯერ არ გადახრილა საქართველო რუსეთისკენ? ამ მიმართულებით რაღაც ბევრი საეჭვო ხდება?

– მცდელობა არის, მაგრამ საბოლოოდ არ გადახრილა. ახლა ამერიკაც გააქტიურდა და არა მგონია, რომ მოსკოვის ხაზზე აღმოვჩნდეთ.

– აშშ-ის გააქტიურებაში რას გულისხმობთ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები რომ ჩავიდნენ ამერიკაში?

– არა მარტო მაგას. ხელისუფლების პირველმა პირებმა ამერიკაში სიარულს რომ მოუხშირეს, ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს. კარგა ხნის მანძილზე ვაშინგტონისკენ არც იხედებოდა „ოცნება“, არც იქედან ყოფილა მიწვევა.

– ახლა ყველა ერთბაშად მიიწვიეს, ჯერ გახარია, მერე იზორია და ახლა ბახტაძე.

– სამივე მათგანის ვიზიტს სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდა. აშშ სერიოზულად გვეხმარებოდა და გვეხმარება თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. აქედან გამომდინარე ჩვენთან თავდაცვის მინისტრები აშშ-სთან შეთანხმებით ინიშნებიან. ამიტომ იზორიას ვაშინგტონში ჩასვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

აი, გახარია სულ სხვა თემაა. მან ერთ კვირაზე მეტი გაატარა შტატებში და მისი ვიზიტის თაობაზე არაფერია ცნობილი. უწყებას ერთი ფოტო და პატარა ნიუსიც კი არ გაუვრცელებია.

სამაგიეროდ, ფართოდ შუქდება მამუკა ბახტაძის ვიზიტი. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაიკ პომპეომ მასთან ერთად პრესკონფერენციაც გამართა, სადაც ნათლად ითქვა, რომ ვაშინგტონისთვის საქართველო სულ ერთი არ არის.

საქართველო მათთვის სულ ერთი რომ არ არის, ამიტომაც უთხრეს უარი გახარიას პრემიერობაზე, ხოლო ივანიშვილს წასვლა მოსთხოვეს. „ოცნების“ ლიდერმა მათი მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

– მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაში რას გულისხმობთ, ნაწილობრივ წავიდა?

– გახარია ვეღარ დანიშნა პრემიერად. აშშ-ის წინააღმდეგობა რომ არა, საქართველოს მთავრობის მეთაური მამუკა ბახტაძე აღარ იქნებოდა.

– მართალია პრემიერად არ დაინიშნა, მაგრამ ლამის მთელი ძალაუფლება შს მინისტრის ხელშია. ეს რას ნიშნავს?

– პირს, რომელსაც ამხელა ძალაუფლებას უგდებს ხელში, მხედველობაში მაქვს ძალოვნების კონტროლი და ის მთავრობის მეთაური არ ხდება, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამას ვიღაც უშლის ხელს. ეს ვიღაც კი, თეთრი სახლია.

– თეთრი სახლი თუ ასეთი წინააღმდეგია, ძალოვნები რანაირად ჩააბარეს?

– თეთრი სახლის გარდა, საქართველოში კრემლის ინტერესებიც არსებობს. გახარიას მინისტრთა კაბინეტში ყოფნა კი მოსკოვის ინტერესებშია. მე გითხარით, რომ ივანიშვილს აშშ-მ წასვლა მოსთხოვა პოლიტიკიდან. მან ვაშინგტონთან ურთიერთობის დალაგება დაიწყო. იქედან გამომდინარე, რომ რუსეთშიც ბევრი ბიზნესი აქვს, მთლად ამერიკისკენ გადახრა არ გამოუვა. ამიტომაც თამაშობს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის.

აშშ-ის გულის მოსაგებად გახარია პრემიერი არ გახდება, ხოლო კრემლის საამებლად, მას მთელი ძალაუფლება ექნება ხელში. თავდაცვის სამინისტროს გარდა, შს მინისტრი ყველა ძალოვან სტრუქტურას აკონტროლებს.

– თავდაცვის სამინისტროს რატომ ვერ აკონტროლებს?

– იმიტომ, რომ იზორია აშშ-ის კადრად ითვლება და ამ უწყებას გახარიას არ გააკარებენ.

ვიღაცები შს მინისტრის ფიგურას ძალიან მარტივად უყურებენ, არადა ის საკმაოდ სერიოზული მოთამაშეა. მას მოსკოვში პოლიტიკური განათლებაც აქვს მიღებული. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მისი პერსონა აშშ-მ დაიწუნა.

ყველა მის თვალის ჩაპაჭუნებაზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ ამ კაცს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია და აკეთებს კიდევაც. ამაში „ოცნების“ ლიდერიც ეხმარება. მან ძალაუფლება ორ ადამიანს გადაუნაწილა. ძალოვნებზე პასუხს შს მინისტრი აგებს, ეკონომიკაზე – პრემიერი. რამდენიმე თვეში თანამდებობაზე შეიძლება არც ერთი მათგანი აღარ დარჩეს.

– რატომ აღარ დარჩებიან თანამდებობაზე?

– ხალხის გულის მოსაგებად ისინი თანამდებობებს დატოვებენ. ეს არჩევნების წინ მოხდება. მათ გამოიყვანენ განტევების ვაცებად. მანამდე კი გახარია ბოროტი კაცის როლს შეასრულებს. „ოცნების“ ლიდერი მისი ხელით კიდევ ბევრ შავ საქმეს გააკეთებს. მერე კი გაუშვებს. გაუშვებს მამუკა ბახტაძესაც. მანამდე კი ეს ორნი ერთმანეთს დაჭამენ.

– მარტო ეს ორნი დაჭამენ ერთმანეთს? როგორც ამბობენ, მმართველ პარტიაში ძალიან დიდი დაპირისპირებაა.

– ამას დაპირისპირება აღარ ჰქვია. ეს ხალხი ერთმანეთის დაჭმაზე გადავიდა. ჩათვალეთ, რომ „ოცნებაში“ აღარ არსებობენ გუნდები. ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზეა გადასული.

– გადასარჩენად აქვთ საქმე?

– სწორედ რომ გადარჩენაზეა ლაპარაკი. ივანიშვილმა მომავალი საპარლამენტო სიის დაწერა ორიგინალური მეთოდით გადაწყვიტა. ის ძველ სახეებს ერთმანეთს დააჭმევინებს და იმათ ჩაწერს სიაში, ვინც ამ ბრძოლაში გადარჩება. დანარჩენი ახალი სახეები იქნებიან.

ვერც კი წარმოიდგენთ, რა დაუნდობელი ბრძოლა გაიმართება „ოცნების“ წევრებს შორის. ბევრი მათგანი საერთოდ გაქრება პოლიტიკიდან.

– ნუკრი ქანთარიამ თქვა, მომავალ პარლამენტში ჩემს თავს ვეღარ ვხედავო. უფრო ადრე ვოლსკიმ დააანონსა წასვლა. ამაზე რას ფიქრობთ, თავად გაუქრათ აქტიურ პოლიტიკაში ყოფნის სურვილი?

– ბარემ არ წავიდოდნენ, მაგრამ გასაგებად უთხრეს, რომ მომავალ პარლამენტში მათი ადგილი არ იქნება. ახლა სახის შენარჩუნებას ცდილობენ და ისე ხატავენ სურათს, თითქოს თავის ნებით მიდიან და გზას ახალგაზრდებს უთმობენ. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ასეთ განცხადებებს კიდევ ბევრი გააკეთებს.

– უკვე წასულები კი დაბრუნებას აპირებენ. დაბრუნდა ღარიბაშვილი. ამბობენ, რომ პარტიას ქმნის კვირიკაშვილი.

– კვირიკაშვილს ძალიან უნდა დაბრუნება. შექმნის პარტიას და ეცდება, რომ ივანიშვილის ორბიტაზე იტრიალოს. მასთან ერთად შეიძლება ბესელია, კვაჭანტირაძე და ფოფხაძე ვიხილოთ.

რაც შეეხება ღარიბაშვილს, მეგონა, რომ ის სერიოზულ ადგილს დაიკავებდა „ოცნებაში“, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეს ადამიანი ფაქტიურად აღარ ჩანს. შეიძლება საპარლამენტო სიაში ჩაწერონ, მაგრამ ძველ გავლენებს ის ვეღარ დაიბრუნებს. მანამდე მაინც, სანამ გახარიას ექნება გავლენები ივანიშვილის კარზე. შს მინისტრი მის მიმართ დადებითად არ არის განწყობილი.

ირაკლი ღარიბაშვილი არც „ოცნების“ სხვა ლიდერებს უყვართ. ამ ადამიანებმა თავის დროზე დიდი როლი ითამაშეს იმაში, რომ ის პრემიერობიდან გაეშვათ. არც პარტიაში მისი დაბრუნება გახარებიათ და შეეცდებიან, არც მომავალში მისცენ მას გასაქანი.

სულ ახლახან, ჩატარდა მთაწმინდაზე შუალედური არჩევნები, მაგრამ ღარიბაშვილი არსად გამოჩენილა. ესეც მიუთითებს იმაზე, რომ გვერდზეა გაწეული. სამაგიეროდ, წინ წამოიწია კახა კალაძის ფიგურამ.

ყველამ ვნახეთ მთაწმინდაზე ჩატარებულ არჩევნებზე ძველი ბიჭების მობილიზება და მათი ჩართულობა საარჩევნო პროცესში. ამ ყველაფრის ორგანიზატორი არის თბილისის მერი. ამით კახა კალაძემ ივანიშვილის თვალში ქულები დაიწერა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ოცნების“ ლიდერი მას გაძლიერების უფლებას მისცემს.

– ზემოთ ღარიბაშვილი და კვირიკაშვილი ახსენეთ. ვიცით, რომ კვირიკაშვილს პარტიის შექმნა უნდა, შეიძლება თუ არა, რომ ის და ღარიბაშვილი ერთ გუნდში აღმოჩნდნენ?

– ეგ გამორიცხულია. კვირიკაშვილმა გაპრემიერების შემდეგ ღარიბაშვილის კადრები მაქსიმალურად შეავიწროვა. ისინი ერთმანეთთან კარგად არ არიან. ასე რომ, მათი თანამშრომლობა გამორიცხულია. ისინი ვერ ითანამშრომლებენ, მაგრამ ბევრი საინტერესო გაერთიანების მომსწრენი გავხდებით.

– რა გაერთიანებების?

– „ოცნების“ ლიდერი რამდენიმე ახალ პარტიას შექმნის. მათ პარლამენტში გაიყვანს და შემდეგ მათთან ერთად კოალიციას შექმნის. ეს არის ერთადერთი გზა იმისა, რომ ივანიშვილი მესამე ვადით დარჩეს ხელისუფლებაში.

მე ადრეც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, რომ მომდევნო არჩევნებში „ოცნებამ“ შეიძლება პირველი ადგილი აღარ დაიკავოს. დღევანდელი მმართველი გუნდი მეორე ან მესამე ადგილზე გავა, მაგრამ სხვადასხვა პარტიებთან ერთად შექმნის უმრავლესობას. ამ პატარა პარტიებს „ოცნების“ ლიდერი გაიყვანს პარლამენტში.

ის ასევე გააგრძელებს თამაშს მოსკოვსა და ამერიკას შორის და შეეცდება, რომ რომელიმე მხარე არ გადაიმტეროს.

– ამ თამაშ-თამაშში ერთხელაც შეიძლება ფეხი აუცდეს და მწარედ დაეცეს.

– არც ეგ არის გამორიცხული, თავადაც იცის, რომ რისკავს, მაგრამ ახლა თამაშის გარდა გამოსავალი არა აქვს. ჯერჯერობით ეს თამაში გამოსდის. თავიდან ის პოლიტიკაში ვერ ერკვეოდა და სერიოზულ შეცდომებსაც უშვებდა. ახლა დაუმეღამა პოლიტიკას და აგერ უკვე რუსეთსა და ამერიკას ეთამაშება. როგორ დასრულდება ეს თამაში, ამას მომავალი გვაჩვენებს. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, ის მესამე ვადითაც დარჩება ხელისუფლებაში.

– აქამდე არც ერთი ძალა არ დარჩენილა მესამე ვადით ხელისუფლებაში.

– იმდენი ფული, რამდენიც ივანიშვილს აქვს, არავის არ ჰქონია. აშკარაა, რომ ეს ადამიანი არსად წასვლას არ აპირებს და ყველაფერს გააკეთებს, რომ მესამე წრეზეც წავიდეს.

– ეს სურვილი აშკარაა, მაგრამ ხომ შეიძლება ამით რევოლუცია მიიღოს?

– შეიძლება, მაგრამ ამ ეტაპზე ეს წარმოუდგენლად მეჩვენება.

– რატომ არის წარმოუდგენელი?

– იმიტომ, რომ რევოლუციის მოწყობას დიდი ფული უნდა. საქართველოში კი ბიძინაზე დიდი ფული არავის არა აქვს. რევოლუცია ერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ გარედან მოხდება მისი დაფინანსება.

– ხალხის უკმაყოფილება რევოლუციისთვის საკმარისი არ არის?

– მარტო ხალხის უკმაყოფილება არაფერს ნიშნავს. რევოლუციისთვის საჭიროა ფული. ფული კი „ოცნების“ ლიდერს აქვს. ამიტომაც დარჩება ის მესამე ვადითაც ხელისუფლებაში.

და კიდევ ერთი, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სანამ პოლიტიკაში ბიზნესმენები იქნებიან, აქ არაფერი შეიცვლება. პოლიტიკა ხომ ბინძურია, მაგრამ ქართულ ბიზნესთან შედარებით პოლიტიკა წმინდა ადგილია.

პოლიტიკოსებს ასე თუ ისე აინტერესებთ სახელი. ბიზნესმენებს კი სულ ფეხებზე ჰკიდიათ, რას იფიქრებს მათზე ხალხი. მთავარია, ფული იშოვონ. ამიტომ, თუ ქვეყნის განვითარება გვინდა, ეს ხალხი უნდა მოვაცილოთ პოლიტიკას.

ადა მარშანია: „შემიძლია „ბავშვის უფლებათა კოდექსს“ თამამად დავუჭირო მხარი“

შემიძლია, „ბავშვის უფლებათა კოდექსს“ თამამად დავუჭირო მხარი – ეს არის მართლაც ჩვენი ეროვნული, ქართული კოდექსი ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ, – აღნიშნული განცხადება ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრმა ადა მარშანიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საკანონმდებლო პაკეტის კენჭისყრაზე გატანის წინ გააკეთა.

– მე ვიყავი დეპუტატი, რომელმაც ამ კოდექსის წინააღმდეგ ძალიან ემოციურად და გაბრაზებულად გაილაშქრა, იმიტომ, რომ იყო გასაბრაზებელი. საოკარი თანამშრომლობა შედგა კომიტეტში, რაც არის პირველ რიგში, სოფო კილაძის დამსახურება. სასულიერო და ყველა დაინტერესებულ პირთან ერთად, მისხალ-მისხალ, სიტყვა-სიტყვით გავიარეთ კოდექსი. შემიძლია მხარი თამამად დავუჭირო მას და განვაცხადო, რომ ეს არის მართლაც ჩვენი ეროვნული, ქართული კოდექსი ბავშვთა უფლებების დაცვის, – განაცხადა ადა მარშანიამ პლენარულ სხდომაზე.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პროექტი პარლამენტმა მეორე მოსმენით 82– ხმით, ერთის წინააღმდეგ მიიღო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ხუხაშვილი: „ანაკლიის პორტის საბოტაჟი მაინც გაგრძელდება“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. 11 ივნისს მან შეხვედრა გამართა აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსთან, რომლის შემდეგაც ერთობლივი ბრიფინგი გაიმართა.

პომპეომ დიპლომატიური ენისთვის არადამახასიათებელი ხმაურიანი განცხადებები გააკეთა. მან საქართველოს მოუწოდა სამართლებრივი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული საარჩევნო სისტემის დახვეწა. საქართველოს მთავარი სტრატეგიული მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო მდივანმა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განხორციელების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი გეოსტრატეგიული ინტერესების კუთხით.

საქართველოში ზოგმა ეს რჩევად, ზოგმა კი შენიშვნად ან გაფრთხილებად აღიქვა.

მაიკ პომპეოს გზავნილების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

იაგო ნაცვლიშვილი

– ხმაურიანი გზავნილები გაკეთდა პომპეოს მხრიდან, რით ხსნით ამას და რა უთხრა მან მმართველ გუნდს თავისი დიპლომატიური მესიჯებით?

– სამი ძირითადი თემა იყო სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი. ერთი, ეს გახლდათ არჩევნების თემა, მეორე იყო სასამართლო რეფორმის თემა და მესამე, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის, როგორც გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთი თემა. ამ სამ თემაზე ისაუბრა მან და ფაქტობრივად შენიშვნა მისცა საქართველოს ხელისუფლებას.

ასეთი შენიშვნები, როგორც წესი, დახურულ შეხვედრებზე კეთდება, მაგრამ რადგანაც მან ჩათვალა, რომ საჯაროდ უნდა გამოეთქვა ეს შენიშვნები, ამით მან აჩვენა, რომ ის მხოლოდ ხელისუფლებას არ ესაუბრებოდა. ის ესაუბრებოდა მთლიანად ქართულ საზოგადოებას. ის ესაუბრებოდა როგორც მტრებს, ისე მოყვრებს – მათ შორის, რუსეთსა და ჩინეთსაც, რომლებიც მან ახსენა.

ეს ნიშნავს, რომ ეს მოცემულობაა.

მან ჩვენ გვითხრა, რომ თუ თქვენ გამოცხადებული გაქვთ დასავლური ვექტორი, მაშინ ამ თემებს უნდა მიხედოთ, ხოლო თუ ამას არ მიხედავთ, მაშინ იქნება პრობლემა, აი, ეს უთხრა „ქართულ ოცნებას“.

– კიდევ ერთხელ გამოჩნდა თუ არა ის, რომ ანაკლიის პორტი ამერიკისთვის სტრატეგიული საკითხია და ამის ხაზგასმა ხომ არ მოხდა?

– ეს ისედაც ჩანდა. ამას მარტო ბრიყვები ვერ ხედავდნენ და ახლა უცებ ამერიკა აღმოაჩინეს. ეს ისედაც ცხადი იყო ყოველთვის. შეიძლება ესეც იყო ამის მიზეზი, რომ პროექტის საბოტაჟი ხდებოდა. ჩვენ ნუ ჩავთვლით, რომ ეს ყველაფერი დასრულებულია. საბოტაჟი გაგრძელდება და შეიძლება უფრო შეეცადონ, რომ უფრო ჭკვიანურად და დაფარულად აწარმოონ საბოტაჟის ახალი გეგმა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პროექტის განხორციელება ბევრს პრობლემად მიაჩნია, თავი რომ გავანებოთ თვითონ ოპონენტების პირად პრობლემებს.

– მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ უკვე საზოგადოებისთვისაც ღიად თქვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ეს პროექტი, მაინც შეეცდებიან საბოტაჟის განხორციელებას ხელისუფლების შიგნით?

– იცით რა? ჩვენ ნუ ჩავთვლით, რომ ამერიკამ ღიად თქვა და მორჩა და დამთავრდა ეს თემა. დიდი გლობალური ომი მიდის და გავლენის აგენტები მეორე მხარესაც ბევრი ჰყავს ამ ქვეყანაში. ბრძოლა გრძელდება და ეს ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. კი, ეს კარგია ერთი მხრივ, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ რისკები კი არ შემცირდება, პირიქით, გაიზრდება. ჩვენ ამ რისკების პრევენციაზე უნდა ვიზრუნოთ.

– სასამართლოსა და არჩევნების თემაზე გამოთქმული შენიშვნები რა გზავნილი იყო მმართველი გუნდისთვის?

– კურიოზული იყო, როდესაც, ერთი მხრივ, პომპეო ამას ლაპარაკობდა და მეორე მხრივ, ირაკლი კობახიძე სასამართლოს სისტემის რეფორმის წარმატებასა და რეფორმის მეოთხე ტალღაზე გვესაუბრებოდა. ეს დისონანსი იყო. პომპეო კობახიძის წინააღმდეგ ხომ ძალიან სასაცილოა?! მაგრამ ეს ფაქტია.

– პომპეოს პარალელურად კობახიძეს არჩევნებზეც ისაუბრა და თქვა, რომ რაც შედეგებშია, ის განწყობაა, თორემ ნაციონალური მოძრაობა რევოლუციას მოაწყობდაო.

– იგივე იყო აქაც. გლობალურად კობახიძის და პომპეოს დატაკება ვიხილეთ გუშინ. თქვენი აზრით, ვინ მოერევა?

– ალბათ კობახიძე.

– რა თქმა უნდა, კობახიძე ხომ უძლეველია?!

– იყო თუ არა ხელისუფლებისთვის პირდაპირ მოწოდება, რომ ეს თემა უნდა გააქტიუროს და არ წაუცდეს ხელი, ისე როგორც აქამდე იყო?

– რა თქმა უნდა. ეს იყო მოწოდება და შეიძლება ითქვას, რომ გაფრთხილებაც, საერთოდ ურჩევენ ხელისუფლებას, რომ ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ. ძალაუფლების შენარჩუნების გარდა, სახელმწიფო ამოცანები საერთოდ აქვთ? თუ მხოლოდ ძალაუფლება სჭირდებათ? აი, ეს რიტორიკული კითხვა დაისვა ამერიკის მხრიდან.

– ერთია, რა ითქვა საჯაროდ, მეორეა დახურულ კარს მიღმა შეხვედრა. იმაზე მეტი ხომ არ ითქმებოდა შეხვედრისას პრემიერთან, ვიდრე პომპეომ საჯაროდ თქვა?

– ბუნებრივია. დახურულ კარს მიღმა უფრო პირდაპირი და ღია საუბრებია ხოლმე, როგორც წესი.

– ამის მიუხედავად, მმართველი გუნდის პოლიტიკის შეცვლას არ ელოდებით?

– ჩვენ ისე ნუ გადავწყვეტთ, რომ პომპეომ გამოაცხადა და ამით დამთავრდება. არა, ეს ასე არ იქნება. ხელისუფლებას ამოცანად დასახული აქვს ძალაუფლების შენარჩუნება და ის ამისთვის ყველა მეთოდს გამოიყენებს. აქედან გამომდინარე რაც საქართველოშია, ეს არის ის, რომ ჩვენ მოვახერხოთ და ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ გაყვეს იმ დღის წესრიგს, რასაც თუნდაც პომპეო გვთავაზობს.

ეს მხოლოდ პომპეოს ინტერესი არ არის, ეს ხომ ამ ქვეყნის ინტერესია?! ის, რომ ნორმალური და კონკურენტული არჩევნები უნდა ტარდებოდეს ქვეყანაში, მართლმსაჯულება ნდობას რომ უნდა იმსახურებდეს, ეს ხომ პომპეოსთვის არ გვჭირდება?! ეს ჩვენთვის გვჭირდება. პომპეო მხოლოდ მხარს უჭერს ამ პროცესს. ძირითადი გასაკეთებელი ჩვენი გასაკეთებელია. ჩვენ თუ პომპეოს იმედზე დავრჩით და სანახაობას ვუყურეთ, არაფერი არ გამოვა.

– თუმცა, ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია დასავლური ქვეყნების ლიდერების მხრიდან გაკეთებული გზავნილები.

– რა თქმა უნდა. ამ ტიპის მხარდაჭერა ქართული საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის შანსი, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიყენოთ.

– მაგრამ გგონიათ, რომ ამ თვალსაზრისით, პოლიტიკოსების გარდა, საზოგადოებაც გასააქტიურებელია?

„ამერიკამ დასვა რიტორიკული კითხვა, „ოცნებას“, ძალაუფლების შენარჩუნების გარდა, აქვს თუ არა სახელმწიფო ამოცანები“

– ცხადია. საზოგადოებამ უნდა აიძულოს პოლიტიკური ელიტა, რომ ის ზრუნავდეს არა საკუთარ ტყავსა და საკუთარ პოზიციებზე პოლიტიკაში, არამედ ქართულ სახელმწიფოზე. ეს არ ეხება მხოლოდ ხელისუფლებას, ეს ეხება ოპოზიციასაც, რადგან ოპოზიციაც არ გვყავს მაინცდამაინც წელში გამოყვანილი.

– საზოგადოებაში ისმის ხოლმე ნიჰილიზმი, რომ ჩვენ მაინც უძლურები ვართ. ამ ვითარებაში რის გაკეთება შეუძლია საზოგადოებას?

– მუდმივი წნეხის ქვეშ ჰყავდეს პოლიტიკური ელიტა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების კუთხით, თუნდაც მართლმსაჯულების გაჯანსაღების კუთხით. ანუ პოლიტიკური ელიტა უნდა აიძულოს, რომ სისტემური რეფორმა გატარდეს. არა ფასადური, არამედ სისტემური რეფორმა. იმისათვის, რომ ის ფასეულობათა სისტემა შევითვისოთ, რაც საბოლოო ჯამში ევროპაში ინტეგრაციის საშუალებას გვაძლევს.

ევროპაში ინტეგრაციას არა გეოგრაფიულად, არამედ როგორც ფასეულობათა და ღირებულებათა სისტემაში.

ეკა ბესელია: „პერსონალური ანგარიშსწორებები პარლამენტის სირცხვილია“

– პერსონალური ანგარიშსწორებები პარლამენტის სირცხვილია, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრმა ეკა ბესელიამ პლენარულ სხდომაზე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ანგარიშის მოსმენისას განაცხადა.

როგორც ბესელიამ განმარტა, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ხელს არ აწერს არც ერთ გადაწყვეტილებას, რომ ის და ზვიად კვაჭანტირაძე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომას დაესწრონ.

– ის, რაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციასთან დაკავშირებით მოხდა, მსგავსი პრეცედენტი არ მახსენდება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის შემადგენლობის შეცვლა იანვრის ჩათვლით არ შეიძლებოდა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა წერილიც კი გამოაგზავნა, სადაც ნათლად ახსნა, რომ არ შეიძლება დელეგაციის წევრებს პრობლემა შეუქმნა და საქართველოს მხარემ ეს ვალდებულება უნდა დაიცვას. ამის შემდეგ, არც მე და არც ზვიად კვაჭანტირაძეს არ გვქონია შესაძლებლობა, რომ სხდომებს დავესწროთ, პარლამენტის თავმჯდომარე არც ერთ გადაწყვეტილებაზე ხელს არ აწერს. ასეთ

შემთხვევაში, როგორია თქვენი პოზიცია, როგორც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, – მიმართა კითხვით ბესელიამ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს სოფო ქაცარავას.

თავის მხრივ, ქაცარავამ ბესელიას საპასუხოდ განაცხადა, რომ დელეგაციის ცვლილებასთან დაკავშირებით ერთი კვირა იდებატეს და დამატებით საუბრის საჭიროებას ვეღარ ხედავდა, რასაც ბესელია კრიტიკით გამოეხმაურა.

– თქვენ კი აარიდეთ თავი, რომ პასუხი გაგეცათ, მაგრამ არ ვაპირებ ეს თემა მივაჩუმათო. ეს ეხება ქვეყნის და პარლამენტის პრესტიჟს. ვხედავ, ოპოზიციასთან როგორ ურთიერთობს უმრავლესობა და მსგავსი პრობლემები მათაც კი არ შექმნიათ. ეს პერსონალური ანგარიშსწორებები პარლამენტის სირცხვილია! თქვენი კომიტეტი ამას ყურადღებას უნდა აქცევდეს, ელემენტარული წესების დაცვისკენ მოგიწოდებთ. ასე არ მოქცეულა პარლამენტი არასოდეს, არავის მიმართ. „პასუხს არ გავცემ ამას და საჭიროდ არ მიმაჩნია“ – უკაცრავად, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარე ანგარიშით რომ გამოდის, აქ თავის მოსაწონებლად კი არ უნდა გამოვიდეთ და ერთმანეთს ვეკეკლუცოთ, ელემენტარულ საკითხებზე პრინციპული პოზიციის გამოხატვა უნდა. პარლამენტში მოსვლა არ არის მარტო თანამდებობაზე ყოფნა, რაღაცეებს პატივი უნდა ვცეთ. ამიტომაც გეუბნებით საჯაროდ – მე დავამთავრე ჩურჩულით და ხათრით ლაპარაკის ეტაპი, უხერხულია პარლამენტისთვის, როდესაც საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი წერილს გიგზავნის და დამარცვლით გეუბნება, ვალდებული ხარ დელეგაციის წევრებს მისცე შესაძლებლობა სხდომაზე დასწრების. ხვალ სხდომაა და მე იმიტომ ვერ მივდივარ, რომ ირაკლი კობახიძეს წერილზე პასუხის გაცემის გამბედაობა არ ჰყოფნის. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ასეთ საკითხებზე. ამიტომ კეკლუცობა კი არ გვინდა, პრინციპულობაა საჭირო, – მიმართა ეკა ბესელიამ სოფო ქაცარავას.

ცნობისთვის, მას შემდეგ, რაც ეკა ბესელიამ და ზვიად კვაჭანტირაძემ საპარლამენტო უმრავლესობა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ რიგები დატოვეს, მმართველი გუნდის გადაწყვეტილებით, მათ ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაც დაატოვებინეს. ამის მიზეზად „ქართულმა ოცნებამ“ ის გარემოება დაასახელა, რომ ეკა ბესელია და ზვიად კვაჭანტირაძე დელეგაციაში „ქართული ოცნების“ კვოტით იყვნენ წარდგენილი.

ბიძინა ივანიშვილი ისევ უმსხვილესი პანამელი ინვესტორია

2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით $281 მილიონი დოლარი შემოვიდა, რაც 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6.3%-ით ნაკლებია.

BMG-ის მიერ საქსტატიდან გამოთხოვილი სტატისტიკის მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების ათეულში „ტურიზმის განვითარების ფონდიც“ შედის, რომელიც საქართველოს ექსპრემიერის ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაა.

ტურიზმის განვითარების ფონდის საინვესტიციო პორტფელში 10 პროექტი ერთიანდება, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 717 მლნ აშშ დოლარს უტოლდება.

საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი 2014 წლის 3 ნოემბერს დაფუძნდა. კომპანიის იურიდიული მისამართი „ქართუს“ სათავო ოფისში, ჭავჭავაძის 39ა-ში მდებარეობს. მისი დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის პანამურ ოფშორში რეგისტრირებული კომპანია FRANKSTON INTERNATIONAL-ი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.

მთლიანობაში საანგარიშო პერიოდში პანამიდან განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 16.7 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ თანხის უდიდესი ნაწილი სწორედ ტურიზმის განვითარების ფონდზე მოდის.

უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების რეიტინგი ასეთია (ინფორმაცია მოწოდებულია რიგითობის გარეშე):

- აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი
- შპს მაგთიკომი
- შპს ყაზტრანსგაზ-თბილისი
- სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური
- სს RMG Copper
- შპს ტოიოტა კავკასია
- შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგ
- შპს სითი ლოფთი
- შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი
- BP ჯგუფი

2019 წლის პირველ კვარტალში ყველაზე დიდი – 133 მილიონიანი ინვესტიცია საქართველოში ირლანდიიდან შემოვიდა. აღნიშნული თანხა აზარტული თამაშების ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშის – აჭარაბეთის 51%-იანი წილის შეძენაზე დაიხარჯა. დღეის მდგომარეობით კომპანიის საკონტროლო პაკეტს ირლანდიური კომპანია Flutter-ი ფლობს.

BMG

თორნიკე შარაშენიძე: „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ 2020 წელს არჩევნები მოიგოს“

ნათია ხურცილავა

„ანაკლიის პროექტი კვირიკაშვილსა და ხაზარაძეს გადააყოლეს“

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამერიკის სახელმწიფო მდივნის პოლიტიკურ გზავნილებზე საუბრობს.

– ბატონო თორნიკე, პრემიერ ბახტაძისა და ამერიკის სახელმწიფო მდივნის პომპეოს ერთობლივ პრესკონფერენციაზე, პომპეომ გვითხრა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი უნდა აშენდეს. რამდენად არის ეს მკაცრი გზავნილი ვაშინგტონის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებისადმი?

– რა თქმა უნდა, არის. როდესაც პრესკონფერენციაზე ასე ღიად, საჯაროდ სახელმწიფო მდივანი აკეთებს მსგავსი ტიპის განცხადებას, რასაკვირველია, ეს არის სერიოზული გზავნილი. დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე კიდევ უფრო მკაცრად იქნებოდა ნათქვამი, რომ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტი უნდა აშენდეს.

როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატებიც დაიღალა იმ ცირკის ყურებით, რომელიც ანაკლიის გარშემო უკვე მეორე წელია გრძელდება. ბოლოსდაბოლოს, ვერ გაიგეს, რა ხდება. ჩვენი მთავრობა ისეთ რაღაცებს სჩადის, რომ თავისუფალი ასპარეზი ჩნდება შეთქმულების თეორიებისთვის, ჩაშლა ხომ არ უნდა და ა.შ. შესაბამისად, ამერიკელებმა მოინდომეს გარკვევა, რეალურად რა ხდება. ნორმალურ ქვეყანაში ასეთი რაღაცები ხომ არ ხდება და ამიტომ უკვირთ.

– როგორ ფიქრობთ, რეალურად რა ხდება?

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბიძინა ივანიშვილს მიზანმიმართულად უნდა ანაკლიის პროექტის ჩაგდება. მე უფრო სხვა რაღაც მგონია.

– თქვენ რა გგონიათ?

– ჩემი აზრით, ბევრად უფრო მარტივად დგას საკითხი: ანაკლიის პროექტის უკან მამუკა ხაზარაძისა და გიორგი კვირიკაშვილის ინტერესები იკვეთებოდა. მოგეხსენებათ, კვირიკაშვილი როგორ წავიდა მთავრობიდან, როგორ ჩამოაშორეს ხელისუფლებას. ვნახეთ, როგორ ჩამოაშორეს ეს ორი ადამიანი ყველაფერს. შესაბამისად, მამუკა ხაზარაძისადმი დამოკიდებულებაც გასაგებია და ამიტომაც გაიჭედა ეს პროექტი. მაგრამ ეს უნდა აუხსნას ვიღაცამ ამერიკელებს, რომ ინტერპრეტაციებისთვის ადგილი არ დარჩეს. მათთვის გაუგებარია, რა საჭირო იყო ამდენი გაზვიადება. ფაქტიურად კვირიკაშვილსა და ხაზარაძეს გადააყოლეს ეს პროექტი. ამიტომ, ამდენი ამბის მერე, ასე მარტივად არ არის ახსნადი ამერიკელებისთვის აქ რა ხდება.

– სახელმწიფო მდივანმა პომპეომ ანაკლიის პროექტის დატვირთვაზე ისაუბრა. მან თქვა, რომ ღრმაწყლოვანი პორტი საქართველოს რუსული და ჩინური ეკონომიკური გავლენებისგან გაათავისუფლებს. თუ შეიძლება აგვიხსნათ, რას ნიშნავს ყოველივე?

– რა თქმა უნდა, ეს პროექტი საქართველოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად აძლიერებს. საქართველო ეკონომიკურად რუსულ ბაზარზე არის ჩამოკიდებული. რუსეთში ჩვენი ღვინის ექსპორტი და რუსი ტურისტები, რომლებიც ჩამოდიან, ცხადია, რუსული ბაზრის ნაწილია. შესაბამისად, ასეთი დამოკიდებულება რუსულ ბაზარზე ხიფათის შემცველია. თუ ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვმა ბაზარი ჩაგვიკეტა, მაშინ ეს ჩვენს ეკონომიკაზე მყისიერად აისახება, რა თქმა უნდა, ეს დაგვარტყამს. სწორედ ეს გვითხრა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი თქვენს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

ღვინის ექსპორტისა და ტურიზმის გარდა, რა გვაქვს, რა შეგვიძლია შევთავაზოთ, რა თქმა უნდა, ტრანზიტი. ტრანზიტის ფუნქცია უნდა შეასრულოთ. ტრანზიტი კი ორი გზით მიიღწევა: თუ ავტობანი აშენდება და თუ აშენდება დიდი, ღრმაწყლოვანი პორტი. თუ ტრანზიტის პოტენციალს რეალურად არ ავამუშავებთ, მაშინ ვიქნებით რუსეთში ღვინის ექსპორტსა და ტურიზმზე დამოკიდებული.

– ჩინეთი რა შუაში იყო, მით უფრო, თუ ევროპაში სწორედ ჩინური ტვირთები უნდა გავატაროთ?

– ეს უფრო იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის გამომხატველი განცხადება. ვინ არის ამერიკის, მოდი ასე ვთქვათ, მტერი დღეს: რუსეთი და ჩინეთი.

რასაკვირველია, ამერიკას რეგიონში ძლიერი საქართველო სჭირდება.

– თქვენ, მაინც როგორ ფიქრობთ, ეს პროექტი არის წმინდა ეკონომიკური თუ მას სხვა, პოლიტიკური დატვირთვაც აქვს?

– ეს პროექტი არის კომერციული. მე არ მჯერა, რომ აქ წყალქვეშა ამერიკული ნავები შემოვიდნენ.

– არა?

– არა, რა თქმა უნდა. როგორ შეიძლება კომერციული პორტი იყოს და სამხედრო წყალქვეშა ნავები შემოვიდნენ?! სად გინახავთ თქვენ, კომერციული პორტი იმავდროულად სამხედრო პორტი იყოს?! სამხედრო პორტს სულ სხვა ინფრასტრუქტურა სჭირდება. თუმცა, თავისთავად ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება, პოლიტიკურ გაძლიერებასაც გულისხმობს.

– სწორედ ეს უნდა მეკითხა, მაშინ რა არის ამერიკის ინტერესი, რატომ არის ასეთი ძლიერი ამ პროექტისადმი მათი ინტერესი?

– ძალიან მარტივია: ამერიკას რეგიონში ძლიერი მოკავშირე სჭირდება ყველა მიმართულებით. საქართველოში ამერიკას სამხედრო ბაზა რაში სჭირდება?! ბოლოსდაბოლოს, ბულგარეთი და რუმინეთი ნატოს წევრი სახელმწიფო არიან. კი, საქართველო რუსეთთან უფრო ახლოს არის საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე მეტი მხარდაჭერა მიიღო, მათ შორის უსაფრთხოების კუთხითაც. თუ საქართველოში აშენდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, ასევე მივიღებთ მეტ უსაფრთხოებას და დაცულობას.

– ამერიკის ასეთი ტონის შემდეგ, კიდევ შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს პროექტის განხორციელება?

– არ გამოვრიცხავ, რომ დადგეს პირველ რიგში მთავრობის უთავობის გამო.

– მიუხედავად სახელმწიფო მდივნის განცხადებისა?

– დიახ, რას უშველის პომპეოს განცხადებები, როდესაც მთავრობაში ამდენი ოროსანია შეყრილი?!

– მაიკ პომპეოს სხვა გზავნილებზე რას იტყვით?

– ორი მთავარი პრობლემა გამოკვეთა: არჩევნები და სასამართლო. დიპლომატი მეტს რას გვეტყოდა. მართალი გითხრათ, გამიხარდა, ბახტაძემ

ჩემი აზრით, ბევრად უფრო მარტივად დგას საკითხი: ანაკლიის პროექტის უკან მამუკა ხაზარაძისა და გიორგი კვირიკაშვილის ინტერესები იკვეთებოდა. მოგეხსენებათ, კვირიკაშვილი როგორ წავიდა მთავრობიდან, როგორ ჩამოაშორეს ხელისუფლებას. ვნახეთ, როგორ ჩამოაშორეს ეს ორი ადამიანი ყველაფერს. შესაბამისად, მამუკა ხაზარაძისადმი დამოკიდებულებაც გასაგებია და ამიტომაც გაიჭედა ეს პროექტი.

გეოგრაფიულად, მაგრამ მაინც წარმოუდგენელია, ამ ეტაპზე ამერიკამ საქართველოში სამხედრო ფლოტი ააშენოს, დამიჯერეთ!

– მინისტრი მაია ცქიტიშვილი აცხადებს, რომ ამერიკის მხრიდან ანაკლიის პროექტისადმი ყურადღება მეტყველებს იმაზე, რომ პორტს არა მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა აქვს, არამედ უსაფრთხოების განზომილებითაც განიხილავს.

– თავის დროზე საქართველოს უსაფრთხოება რამ გააძლიერა?! რასაკვირველია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტმა. მე, დაახლოებით ასეთი დონის პროექტად განვიხილავ. ის პროექტი ხომ არ იყო სამხედრო პროექტი, ის იყო ეკონომიკურ-ენერგეტიკული პროექტი, მაგრამ ამ პროექტმა საქართველოს მნიშვნელობა და ფუნქცია ავტომატურად იმდენად გაზარდა, რომ საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე მეტი მხარდაჭერა მიიღო, მათ შორის უსაფრთხოების კუთხითაც. თუ საქართველოში აშენდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, ასევე მივიღებთ მეტ უსაფრთხოებას და დაცულობას.

– ამერიკის ასეთი ტონის შემდეგ, კიდევ შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს პროექტის განხორციელება?

– არ გამოვრიცხავ, რომ დადგეს პირველ რიგში მთავრობის უთავობის გამო.

– მიუხედავად სახელმწიფო მდივნის განცხადებისა?

– დიახ, რას უშველის პომპეოს განცხადებები, როდესაც მთავრობაში ამდენი ოროსანია შეყრილი?!

– მაიკ პომპეოს სხვა გზავნილებზე რას იტყვით?

– ორი მთავარი პრობლემა გამოკვეთა: არჩევნები და სასამართლო. დიპლომატი მეტს რას გვეტყოდა. მართალი გითხრათ, გამიხარდა, ბახტაძემ რომ არ უთხრა, ნაცმოძრაობა გატყუებთ.

– რამდენად ელოდებით, რომ ხელისუფლება ამ გზავნილების ადეკვატური იქნება არჩევნებთან დაკავშირებით?

– დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ 2020 წელს არჩევნები მოიგოს. ამისთვის უფრო დახვეწილ ტექნოლოგიებს გამოიყენებს. არჩევნების დღეს ნაკლებად შეირცხვენენ თავს. ნაკლებად მოყრიან უბნებზე კუნთმაგარ, „ძველ ბიჭებს“ და ძალოვნებს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ეცდებიან ყველაფერი მოაგვარონ.

– თქვენ ამბობთ, რომ „ოცნება“ ემზადება არჩევნების მოსაგებად და არა ხელისუფლების გადასაბარებლად.

– რა თქმა უნდა, მოსაგებად ემზადება!

მამუკა ბახტაძე: „აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ყველაზე მაღალ ნიშნულზეა“

აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა და ორპარტიული მხარდაჭერა ყველაზე მაღალ ნიშნულზეა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ვაშინგტონში, საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის კონფერენციის გახსნისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, სტრატეგიული პარტნიორობის 10 წლის მანძილზე, ორმხრივი თანამშრომლობა გეოგრაფიულად და ეკონომიკურად გაღრმავდა და გაფართოვდა.

– საქართველოს ჰქონდა პატივი, ემასპინძლა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკლ პენსისა და უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველ ჯონ ბოლტონისთვის. ორივე მოვლენა იყო ძალიან მნიშვნელოვანი აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობისა და ორმხრივი ურთიერთობის ახალ სიმაღლეებზე აყვანის კუთხით. ამ და სხვა შეხვედრებზე კარგად გავაცნობიერეთ, რა ვალდებულებების შესრულებას ელიან ჩვენგან ჩვენი პარტნიორები და რამდენად ფასეულია ჩვენი წვლილი საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. უმნიშვნელოვანესია გრძელვადიანი სტრატეგიული დახმარება პროგრამის – „ღირსეული პარტნიორი“ ფარგლებში გამართული წვრთნებისა და ურთიერთავსებადობის უზრუნველყოფის მიმართულებით, რაც საქართველოს სამხედრო ძალების მონაწილეობითა და ამერიკელი სამხედროების ხელმძღვანელობით საქართველოში ტარდება და მიზნად ისახავს ჩვენს დახმარებას და მრავალეროვნული წვრთნების საშუალებით საქართველოს, აშშ-სა და მონაწილე ერების მზაობის გაძლიერებას. მადლიერებას გამოვხატავთ კონგრესისა და თეთრი სახლისადმი ჩვენი მიმდინარე საჭიროებების აღიარებისთვის, რაც ჩვენი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებზე მეტ თანამშრომლობაში გამოიხატა, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერმა ასევე ყურადღება გაამახვილა აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებულ ეროვნული თავდაცვის აქტზე, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას და ამერიკელ მეგობრებს მადლობა გადაუხადა.

– კონგრესმა აქცენტები გააკეთა რუსეთის უკანონო, სამხედრო ოკუპაციის შედეგად საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევაზე. გასულ თვეს, წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტში ერთხმად იქნა მიღებული საქართველოს მხარდამჭერი აქტი. როგორც მოგეხსენებათ, ეს ორპარტიული მხარდაჭერის მქონე საკანონმდებლო ინიციატივა მიზნად ისახავს ჩვენი სუვერენიტეტის დაცვას ნებისმიერი აგრესიისგან და რუსეთის ავანტიურიზმის დასჯას სანქციებითა და სხვა მნიშვნელოვანი ბერკეტებით. ქართველი ხალხი აშშ-ის მთავრობისადმი უდიდეს მადლობას გამოხატავს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ძლიერი მხარდაჭერისთვის რუსეთის განგრძობადი აგრესიის პირობებში, – აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის კონფერენცია, რომელსაც აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტი მასპინძლობს, საქართველოს საელჩოსა და „ჰერითიჯის ფონდისა“ თანაორგანიზებით იმართება და მასში აშშ-ის პოლიტიკური და საექსპერტო წრეების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

იპნ

სუსმა დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ გამოყენების ფაქტზე 3 პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან და ქალაქ თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წინასწარი შეთანხმებით, დიდი ოდენობით, მოტყუებით ქონებრივი დაზიანების, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ გამოყენების ფაქტზე, საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ბ, მიხეილ ჯ. და გოგი მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თეიმურაზ ბ. და მიხეილ ჯ, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მათ კუთვნილ ტელეფონებში არსებული ჰაკერული პროგრამის გამოყენებით ახდენდნენ სხვადასხვა მოქალაქეების სარგებლობაში არსებული „მეტრომანის“ ბარათების მონაცემებში უკანონო შეღწევას და ბარათებზე თანხის ჩაურიცხავად ბალანსის ასახვას. გოგი მ. თავის მხრივ უზრუნველყოფდა მოქალაქეთა მოძიებასა და მათთან დაკავშირებას. გამოძიებით დადგენილია, რომ ხსენებული გზით შევსებული ბარათების გამოყენებით მგზავრობის საფასურის ელექტრონული გადახდა ხდებოდა ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენში, სამარშრუტო მიკროავტობუსებში, ავტობუსებსა და საბაგიროებზე. ასევე დადგენილია ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში ხსენებული ბარათების გამოყენებით ცალკეული მიკროავტობუსების მძღოლები ახორციელებდნენ დღიური გეგმის შესრულებასაც.

ჩატარებული ჩხრეკების შედეგად ამოღებულია ბრალდებულთა მობილური ტელეფონები, რამდენიმე ათეული ბარათი და დადგენილია ის ჰაკერული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ბარათებზე ბალანსის შევსება. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს იმ დიდი ოდენობით ზარალის დაანგარიშება, რომელიც ბრალდებულ პირთა ქმედებით მიადგა როგორც ქალაქ თბილისის ბიუჯეტს, ასევე იმ კერძო კომპანიებს, რომლებიც ტრანსპორტირების საფასურის ასახვის პროგრამულ უზრუნველყოფას ახორციელებენ. მაგალითისათვის, ჩხრეკისას ამოღებულ ათ ბარათზე 2019 წლის 3 ივნისიდან 7 ივნისის ჩათვლით ჰაკერულად დარიცხული და გახარჯული ყოფილა 11.500 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევისა და კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის და 285-ე მუხლის მე-2 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

„ამერიკას და ევროკავშირს ჩვენი საარჩევნო სისტემა არ აინტერესებთ“

გიორგი ახვლედიანი: „პომპეოს განცხადებებზე ხელისუფლება, ცხადია, იტყვის, რომ აი, ჩვენ დემოკრატიას გვიწონებენ, ოპოზიცია კი იტყვის, რომ ეს არის საშინელი კრიტიკა და შეფასებები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ახვლედიანი პასუხობს.

– გიორგი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადება სხვადასხვანაირად გაიგო ოპოზიციის და ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ შეფასებები უკიდურესად მწვავე იყო, ხელისუფლება კი მიიჩნევს, რომ დადებითი შეფასებები გაკეთდა. რას იტყვით თქვენ?

– როგორც მოსალოდნელი იყო, მმართველობის ბოლო პერიოდში წამოვიდოდა კრიტიკა. თუმცა ჩვენ უფრო სერიოზულ კრიტიკას და მკაცრ მოთხოვნებს, უფრო მომავალი წლის დასაწყისიდან უნდა ველოდოთ. შესაძლოა წლის ბოლოსაც, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში. იქ აუცილებლად იქნება საქართველოზე საუბარი და ველოდები საკმაოდ მკაცრ რეკომენდაციებს.

– რასთან დაკავშირებით?

– იმასთან დაკავშირებით, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მშვიდობიანი ცვლილება უნდა მოხდეს ხელისუფლების.

– პომპეოს ამ განცხადებაში სამ ძირითად საკითხს გაესვა ხაზი: დემოკრატიულ არჩევნებს, სასამართლო რეფორმას და ანაკლიის პორტს.

– დიახ, არჩევნები იქნება მთავარი თემა. ამ ხელისუფლებას ორი ვადა ეწურება და ორ ვადაზე მეტი, ჩვენნაირი განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებისათვის, ერთი და იმავე პარტიისათვის ორ ვადაზე მეტი ხელისუფლებაში ყოფნა, ავტორიტარიზმის ნიშნებს ატარებს, ძალიან სერიოზულს. ამიტომ, როგორც საკაკაშვილს 2011 წლის ბოლოს ძალიან მკაფიოდ უთხრეს, რომ მშვიდობიანად უნდა გადაებარებინა ხელისუფლება და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოეხდინა კონსტიტუციური ცვლილებებით ხელისუფლების ხელში ჩაგდება, დაახლოებით იგივე განცხადებებს ველოდებით „ოცნების“ მისამართით. ზუსტად ასე მოხდა შევარდნაძესთან დაკავშირებითაც, უბრალოდ, შევარდნაძემ არ გაიგო ეს ყველაფერი. არც საკაკაშვილმა გაიგო და ვნახოთ, ახლა რამდენად გაიგებს დღევანდელი ხელისუფლება.

– რას იტყვით ამ კონკრეტულ განცხადებებსა და პოლიტიკური პარტიების გამოხმაურებებზე?

– რაც შეეხება პომპეოს ამჟამინდელ განცხადებებს, რა თქმა უნდა, ყველა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ახლა წყალობას ელოდება ამერიკის მხრიდან, აღიარებას, მხარდაჭერას, მხარზე წამოთათუნებას, თავზე ხელის გადასმას, იმათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პომპეოს გამოსვლა საკუთარი შეხედულებებით შესთავაზოს საზოგადოებას. ხელისუფლება, ცხადია იტყვის, რომ აი, ჩვენ დემოკრატიას გვიწონებენ, ოპოზიცია კი იტყვის, რომ ეს არის საშინელი კრიტიკა და შეფასებები. მე კი გეტყვით ერთ რამეს, ეს არის ზუსტად ისეთივე განცხადებები, მხოლოდ განცხადებები განცხადებებისათვის, როგორებიც გვქონდა მთელი 25 წლის განმავლობაში.

– ანუ?

– არაფერი კონკრეტული ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არ შეიცვლება. ამერიკას, ევროკავშირს, რეალურად რომ უნდოდეს ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო, რომ უნდოდეს რეალურად სამართლიანი საარჩევნო სისტემა, ის ამას მიაღწევდა აუცილებლად და იცით როგორ მიაღწევდა?!

– როგორ?

– ვიზალიბერალიზაციას შესთავაზებდა საქართველოს არა ანტიდისკრიმინაციული კანონის სანაცვლოდ, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას თუ მიიღებთ, ჩვენ ვიზალიბერალიზაციას შემოგთავაზებთ, არამედ ეტყოდა ხელისუფლებას, რომ სამართლიანი სასამართლო თუ იქნება, სწორედ მაშინ იქნება ვიზალიბერალიზაცია. სამართლიანი საარჩევნო სისტემა თუ იქნება, აი მაშინ იქნება ვიზალიბერალიზაცია. ეს რომ გაეკეთებინათ, ჩვენ, დღეს, სახელმწიფო, ვიქნებოდით ათასჯერ უფრო წინ. გვექნებოდა სამართლიანი სასამართლო და გვექნებოდა გამართული საარჩევნო სისტემა.

– თუ შეეძლოთ რატომ არ გააკეთეს?

– იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს ეს საკითხები ჩვენს ქვეყანაში ნაკლებად აინტერესებთ.

– მაშინ რა გამოდის, რომ ეს არის განცხადება განცხადებისთვის?

– რა თქმა უნდა! მათ რომ უნდოდეთ, რაიმე კონკრეტული საკითხი გაიტანონ ჩვენს ქვეყანაში, მაშინ თავპირს დაიმტვრევენ და ისეთებს მოგვთხოვენ, რომ სხვა გზას აღარ დაგვიტოვებენ. ისე როგორც ვიზალიბერალიზაციის შემთხვევაში იყო. ხელისუფლებს აღარ დაუტოვეს სხვა შანსი და მიაღებინეს ანტიდისკრიმინაციული კანონი. ახლა დანარჩენი, საქართველო როგორი მეგობარი ქვეყანაა და მხარზე ხელს მოგვითათუნებენ, ჯიგრები ხართ და ოდესღაც ნატოს წევრები გახდებით, ეს ყველაფერი არის უბრალოდ წყლის ნაყვა და უბრალოდ გულის მოსაფხანი განცხადებები განცხადებებისათვის.

– ამით არაფერი შეიცვლება?

– არა. მე მეცინება ხოლმე, რომ დაირაზმება ჩვენი პოლიტიკური საზოგადოება და გულს რომ იფხანენ მსგავს განცხადებებზე, თითქოს ეს ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე სულ მცირე ზემოქმედებას მაინც მოახდენდეს. არა ბატონებო, არ მოახდენს ეს არავითარ ზემოქმედებას! ზემოქმედება მოახდინეს მაშინ, როდესაც უნდოდათ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, ისეთი ზემოქმედება მოახდინეს, რომ წამში მიაღებინეს პარლამენტს. სწორედ ასეთი ზემოქმედება უნდა მოახდინოს იმისათვის, რომ საარჩევნო სისტემა შეიცვალოს, იმისათვის, რომ თავისუფალი სასამართლო მივიღოთ, იმისათვის, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები რეალურად დამკვიდრდეს ქვეყანაში. თუმცა, მე რასაც ვუყურებ, არავითარი ასეთი ინტერესი ჩვენი დასავლელი მეგობრების მხრიდან დიდად არ არსებობს. იმიტომ, რომ საქართველოსთან მიმართებაში ეგ პრიორიტეტი არ დგას, საქართველო სხვა მიზნებისთვის არსებობს. იმ მიზნებისთვის, რომ იდგეს კავკასიონზე გადმომდგარი და იყეფებოდეს და საჯილდაო ქვა იყოს დასავლეთის ხელში. ამერიკა და რუსეთი როდესაც ლაპარაკობენ, საქართველო გაცვლითი მონეტაა მათ ხელში. მეტი არაფერი.

ლევან ხაბეიშვილი: „ტაქსების რეფორმა აუცილებლად ჩავარდება“

ტაქსების რეფორმა აუცილებლად ჩავარდება, – ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და თბილისის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისივე თქმით, დედაქალაქის მერის ინიციატივა, ტაქსის მძღოლებისთვის იაფი სესხების შესახებ, ამ ადამიანებისთვის შეღავათი არ იქნება.

– ეს პროექტი აუცილებლად ჩავარდება მარტივი ლოგიკის გამო: არც ერთი ნორმალური ადამიანი, ყოველ შემთხვევაში დიდი პროცენტი ტაქსის მძღოლებისა არ გადაღებავს ავტომობილს თეთრად, იმიტომ, რომ შემდეგ მას ამ ავტომობილის გადაგდება მოუწევს, რადგან ამ თეთრი ფერის მანქანებს ფასი აუცილებლად შეუმცირდება და მეპატრონეებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. ის ადამიანები კი, ვინც არ გადაღებავენ მანქანებს თეთრად და მაინც

გააგრძელებენ ტაქსაობას, ეს კიდევ ცალკე პრობლემა იქნება. ამიტომ, მარტივი ლოგიკის გამო, ეს პროექტი ჩავარდება, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, ამ პროექტის მთავარი მიზანი ტაქსის მძღოლების „ბაზრიდან“ გაყვანა და მონოპოლიის დამყარებაა, რომლის დაწესებაც და წილში ჩაჯდომაც კალაძეს უნდა.

– თეთრი ფერი არ არის სერვისი, არ არის კომფორტი და არ არის უსაფრთხოების განმსაზღვრელი, შესაბამისად ეს ახირება მართლა მოგონილი ამბავია. ჩვენ რომ შვეიცარიის დონის ქვეყანა ვიყოთ ეკონომიკითაც და დოვლათითაც, შესაძლოა, შემდეგ ვიფიქროთ მსგავს რაღაცებზე, მაგრამ მაშინ, როდესაც ქვეყანაში სრული ეკონომიკური კატასტროფაა, ამ ადამიანებისთვის დამატებითი რეგულაციები და დამატებითი გადასახადების დაწესება ნამდვილად უსამართლოა.

რაც შეეხება შეღავათიან სესხებს ტაქსის მძღოლებისთვის, რა სისულელეა? კალაძეს ჰგონია, რომ ამით რაიმე შეღავათი ექნებათ ამ ადამიანებს? რატომ უნდა აიღონ სესხი, რისთვის? იმიტომ, რომ კალაძემ ტაქსებზე თეთრი ფერი მოინდომა? ეს ადამიანები, რომლებიც ორი კაპიკისთვის და ლუკმა-პურის საშოვნელად ტაქსაობენ, კიდევ სესხები უნდა აიღონ? – მართლა სასაცილოა და პირდაპირი დაცინვაა ჩვენი მოქალაქეების, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

მისივე თქმით, კახა კალაძე „დისპეჩერის“ ფუნქციებს უფრო ითავსებს, ვიდრე ქალაქის მერის.

შეგახსენებთ, თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ტაქსის მძღოლებს ექნებათ შესაძლებლობა, აიღონ იაფი სესხი, რათა ჩაანაცვლონ ავტომობილები.

„ოცნების“ მილიონერი დეპუტატი, რომელსაც ბრალი თაღლითობის მუხლით წაუყენეს, ხელისუფლებისგან ღირსების ორდენს ელოდება

გორის მაჟორიტარი დეპუტატი იოსებ მაკრახიძე, გარდა იმისა, რომ მილიონერ დეპუტატთა შორის ერთ-ერთი მილიონერია, პარლამენტში ამნისტირებული „საბუთით“ მივიდა. თაღლითობის მუხლით გასამართლებულ დეპუტატს, რომელმაც გორის მაჟორიტარული ოლქი „ქართული ოცნების“ კანდიდატობით მოიგო, იმედი აქვს, უფრო ზუსტად კი დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მის კომპანიას ღირსების ორდენით დაასაჩუქრებს.

არ არის გამორიცხული, ასეც მოხდეს, რადგან მაკრახიძე 2016 წელს „ოცნებამ“ მაჟორიტარის მანდატით დაასაჩუქრა „ღრმად მეოცნებეობის და სოლიდური შემოწირულობების“ გამო.

„2020NEWS“ მაკრახიძის სისხლის სამართლის საქმით მისი ქონებრივი დეკლარაციის შესწავლის შემდეგ დაინტერესდა. მის ქონებრივ დეკლარაციას ოდნავ მოგვიანებით მივუბრუნდებით. მანამდე კი, „2020NEWS“ გორის მაჟორიტარ დეპუტატს თაღლითობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმის დეტალების გარკვევისთვის დაუკავშირდა.

„ფირმას ჰქონდა შესრულებული სამუშაო, მე ვიყავი ფირმის ხელმძღვანელი. თანხების გაფლანგვას საქმე არ ეხებოდა, თანხები მე როგორ უნდა გამეფლანგა?!“, – უთხრა „2020NEWS“-ს იოსებ მაკრახიძემ, რომელსაც 2012-2016 წლებში პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდების შესახებ ვკითხეთ, რომლის მიხედვითაც, მაკრახიძეს ბრალი თაღლითობის მუხლით ედებოდა (2016 წლის ივლისში ამნისტიის კანონის მიღების შემდეგ დეპუტატზე სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა).

როგორც მაკრახიძე გვეუბნება, ზუსტად არ ახსოვს, გირაო რატომ დაეკისრა და თაღლითობის ბრალდებით ბრალი ნამდვილად წარედგინა თუ არა.

– თუ გაინტერესებთ, გირაო რატომ დამეკისრა, ჩამობრძანდით და ყველა ინფორმაციას მოგაწოდებთ, ჩემს იურისტთან ერთად. ზუსტად არ მახსოვს, პროკურატურამ თაღლითობის მუხლით წარმიდგინა თუ არა ბრალი – მე მგონი, კი. თუ გსურთ, დოკუმენტაციასაც მოგაწვდით, დასამალი არაფერი მაქვს. ჩემი წარსული უნდა იცოდეთ. სანამ მაჟორიტარი დეპუტატი გავხდებოდი, მთელი გზა გავიარე, ახალციხიდან დაწყებული, ყველა ობიექტი კარგად მაქვს შესრულებული, იმიტომ, რომ ერთ-ერთი წარჩინებული ორგანიზაცია მაქვს.

შევარდნაძისა და საკაკაშვილის დროს ღირსების ორდერი მივიღე და ახლა ამათთანაც ალბათ, ჩემი ორგანიზაცია მიიღებს ღირსების ორდერს. ყველა ჩემი სამუშაო ათიანზე სრულდება.

– ბატონო იოსებ, სასამართლოს განჩინებაში წერია, რომ შპს „იბოლიას“ დირექტორმა ანუ თქვენ, მილება-ჩაბარების აქტებში არასწორი მონაცემები შეიტანა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, სახელმწიფო თანხების მითვისება განიზრახეთ, რის გამოც 2012-2016 წლებში თაღლითობის მუხლით ბრალდება წარგედგინათ. სამუშაო ამ შემთხვევაშიც „ათიანზე შეასრულეთ“?

– თუ ახლოს ხართ მშენებლობასთან, მოგიტანთ ფურცელს და ნახავთ, რომ ერთი დარღვევაც კი არ არის, ხანდახან შეცდომა ხდება ხოლმე. საქართველოში ჩემს ორგანიზაციას იცნობენ, როგორც წარჩინებულ ფირმას. თუ გინდათ დაგათვალიერებინებთ. ზოგ კომპანიას „ლაფატკაც“ არა აქვს და ისე იღებს მონაწილეობას ტენდერებში.

– მას შემდეგ, რაც 2016 წლიდან გორის მაჟორიტარი დეპუტატი გახდით, მხოლოდ 5 თვეში თქვენს ოჯახთან დაკავშირებულმა კომპანიებმა გორის მერიის მიერ გამოცხადებული 3 683 534 ლარის ტენდერი მოიგო. შპს „იბოლიამ“, სადაც 40%-იან წილს დღემდე ინარჩუნებთ, მხოლოდ 2018 წლის იანვარ-ოქტომბერში 8 მლნ ლარზე მეტის ღირებულების სახელმწიფო ტენდერებში გაიმარჯვა. აღნიშნულს რით ხსნით?

– თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, როგორ ტარდება ტენდერები, იქ უნდა მიიტანო და დადო შენი საბუთები. ტენდერი დახურულია, ელექტრონულია, იქ ვერ გაიგებ, პეტრე იღებს მონაწილეობას თუ პავლე.

– გასულ წელს თქვენი ოჯახის წევრების კომპანიებმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საერთო ჯამში, 5.021.930 ლარი მიიღეს. თქვენს მფლობელობაში არსებული კომპანია შპს „იბოლია“ კი მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში უკონკურენტოდ იმარჯვებს. არ მეთანხმებით?

– არავითარ შემთხვევაში. პირდაპირ შესყიდვებში მონაწილეობას ვერიდებით. იმასაც გაჩვენებთ, ტენდერებში რამდენი მაქვს წაგებული. ორი წლის წინ წავაგე და მოიგო აზერბაიჯანმა. თქვენ რომელი გაგეხარდებათ, იმათ რომ წაეგო, თუ ჩვენ რომ მოგვეგო?! თქვენ გინდათ, სხვებმა მოიგონ და მე არ მოვიგო?!

კომპანიიდან ოთხი წელია წამოსული ვარ, აღარაფერს ვაკეთებ, მაგრამ ისევ დავბრუნდები. მართვა მაქვს გადაცემული სხვა პირებისთვის. ჩემი ორგანიზაცია, დაახლოებით, 6.000 ოჯახს ინახავს, გინდათ, რომ სამსახურს თავი დავანებო და 2 000 კაცი ისე დავტოვო?! – არ იქნება ეს სწორი. მინდა, რომ წარმოდგენა გქონდეთ და ნახოთ, რასაც ვაკეთებთ. საქართველოში კუთხე არ არსებობს, სადაც სამუშაოები არ გვაქვს შესრულებული.

თემურ ჭყონია: „ჩვენ გვინდა სწორი რეგულაციები“

– ამ ვითარებაში სასტუმრო ვერ განვითარდება, რადგან გასავალი აჭარბებს შემოსავალს.

ამის შესახებ „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელმა თემურ ჭყონიამ ქობულეთში მდებარე სასტუმრო „ჯორჯია პალასის“ მუშაობასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, სადასახადო სისტემა, რომელიც საქართველოშია, არასწორია და რეგიონებში სასტუმრო ბიზნესის განვითარებას აფერხებს.

„ჯორჯია პალასი“ არ დაიხურება, ეს პრესტიჟის ამბავია, მაგრამ ვიბრძვით, რომ სახელი არ შეგველახოს“, – აღნიშნავს ბიზნესმენი.

ცნობისთვის, ქობულეთში მდებარე 7-სართულიანი, 156-ნომრიანი სასტუმრო „ჯორჯია პალასი“ უკვე 11 წელია ფუნქციონირებს. გასული წლის თებერვალში თემურ ჭყონიამ კომპლექსის მართვაში ესპანური კომპანია იმ მოტივით შეიყვანა, რომ რეგიონში კონკურენცია და მომსახურების ხარისხი გაუმჯობესებულიყო. თუმცა როგორც ამჟამად ბიზნესმენი აცხადებს, ის საგადასახადო სისტემა, რომელიც ქვეყანაშია, განვითარების პროცესს ხელს უშლის.

– თვითონ ამ სასტუმროზე და ბრენდზე არ მინდა საუბარი. თუმცა, თუკი ვსაუბრობთ, რომ ქვეყანაში ტურიზმი უნდა განვითარდეს, იმ გადასახადებზეც უნდა ითქვას, რომელიც არსებობს ქობულეთში, წყალტუბოში თუ სხვა პატარა ქალაქებში. ასეთ ადგილებში ისეთივე საგადასახადო სისტემაა, როგორიც თბილისში. აქ შეღავათებზე არ არის საუბარი, მეტიც, მე არ მიყვარს, ეს სიტყვა, ვგულისხმობ ხელშეწყობას, რომელიც განვითარებისთვის აუცილებელია. გათანაბრების თემა არის საშინელება. ეს არის კომუნისტური მენტალიტეტი.

ყველას უნდა ჰქონდეს თავისი ადგილი. ვგულისხმობ იმას, რომ ქობულეთის და თბილისის სასტუმროები ერთი და იგივე გადასახადებს არ უნდა იხდიდნენ. თუ გინდა, რომ ქობულეთი განვითარდეს, იქ სხვა საგადასახადო სისტემა უნდა იყოს. როდესაც ამ საკითხს ვსვამ, მპასუხობენ, ამას ცალკე აღრიცხვა სჭირდებაო. არაფერი არ სჭირდება, ასე იყო 20-30 წლის წინ, იმიტომ, რომ მაშინ კონტროლი სხვა მეთოდებით ხდებოდა. მაშინ კალკულატორითაც ვანგარიშობდით. ახლა ტექნოლოგიები განვითარდა და ეს პროცესიც გამარტივდა, – აცხადებს თემურ ჭყონია.

მისი თქმით, ასეთ ვითარებაში ქობულეთის სასტუმრო არათუ ვითარდება, არამედ საკუთარ ხარჯებსაც ვერ ფარავს.

– წარმოიდგინეთ, ჩვენი სასტუმრო რა გადასახადსაც იხდის, იმავე ოდენობისას იხდის თბილისში „მერიოტი“ და სხვა. ამ ვითარებაში სასტუმრო ვერ ვითარდება, რადგან გასავალი აჭარბებს შემოსავალს, ქობულეთში ამიტომაც არ აშენებს არავინ არაფერს, – აცხადებს თემურ ჭყონია.

ჭყონიას პოზიციით, თუ არსებული საგადასახადო სისტემა არ შეიცვალა, რეგიონში სასტუმრო ბიზნესის განვითარება წარმოუდგენელია.

– ჩვენი სასტუმრო არ დაიხურება, ეს პრესტიჟის ამბავია, მაგრამ ვიბრძვით, რომ სახელი არ შეგველახოს. შეღავათი კი არა, ჩვენ გვინდა სწორი რეგულაციები. ამას წინ წავიკითხე, ურეკის განვითარებაში 5 მილიონი ჩაიდებაო. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ქობულეთმა რა დააშავა? რატომ ხდება, რომ ერთ ადგილზე არის დიდი კონცენტრაცია და მეორეს ყურადღებას არ აქცევენ. ყველაფერი არის პოპულისტური და სწორედ ეს პოპულიზმი, მლიქვნელობა და უცოდინრობა ღუპავს ყველაფერს, – აცხადებს თემურ ჭყონია.

BPN

„ლილო მოლში“ ყოველწლიურად 4 მილიონი ადამიანი შედის

„ლილო მოლი“ ფართოვდება. ამის შესახებ კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი კვარცხელია „კომერსანტთან“ საუბრობს. საუბარია, დამატებით დაახლოებით 9 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ათვისებაზე. მისი განმარტებით, პროექტის განხორციელება 2020 წლისთვის იგეგმება, რომელიც ძირითადად საპარკინგე ადგილების შექმნას გულისხმობს. ამჟამად მიმდინარეობს პროექტირების ეტაპი და კალკულაცია. კვარაცხელიას განმარტებით, ტერიტორიის ნაწილი უკვე არის „ლილო მოლის“ საკუთრებაში, ნაწილს კი კომპანია უახლოეს მომავალში შეიძენს.

კითხვაზე, აქვს თუ არა „ლილო მოლს“ სავაჭრო ტურიზმის განვითარების პერსპექტივის კუთხით პერსპექტივა, კვარაცხელია აღნიშნავს, რომ ობიექტით ბოლო პერიოდია ძალიან ბევრი ტურისტი ინტერესდება. მათ შორის, ვიზიტორები ისრაელიდან, თურქეთიდან, ირანიდან და ასე შემდეგ.

ამჟამად „ლილო მოლი“ 37 ჰექტარზე გაშენებული ამიერკავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო ცენტრია, როგორც საცალო, ისე – საბითუმო ვაჭრობის სფეროში. კვარაცხელიას განმარტებით, „ლილო მოლი“ ის ადგილია, სადაც ხალხი არჩენს როგორც თავიანთ, ისე სხვის ოჯახებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კომპანიას ბიუჯეტში ყოველ წლიურად დაახლოებით 12-15 მილიონი ლარი შეაქვს.

– ისტორიულად თუ გადავხედავთ, იყო პერიოდი, როდესაც მუშაობდა მხოლოდ პურის ქარხანა და ლილოს ბაზრობა. ეს ჩვენი მეწარმეებისთვის გადარჩენის ადგილია. „ლილო მოლის“ ტერიტორიაზე დაახლოებით 6500-მდე მაღაზიაა. ეს ხალხი აქაა დასაქმებული, წარმოიდგინეთ რამდენი ტვირთი აქვს სახელმწიფოს მოხსნილი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა 4 მილიონს აჭარბებს, – აღნიშნავს კვარაცხელია.

კომერსანტი

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ განცხადებას ავრცელებს

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ მიესალმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას ანაკლიის პორტისთვის ფინანსების მოსაზიდად ვადის გახანგრძლივების შესახებ, – ამის შესახებ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბანკებთან მოლაპარაკების პროცესის წარმატებით დასრულებისთვის, რათა მოხდეს მთავრობასა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის 8 პუნქტიანი საკითხების სიაზე საბოლოო შეთანხმება.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ მას სრულად აქვს მობილიზებული პროექტისთვის საჭირო კაპიტალი და ამის ოფიციალური გაცხადება მოხდება მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები მიაღწევენ შეთანხმებას.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ მოცემულ ვადებში, მაქსიმალურად ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს, კონსორციუმმა უკვე დაასრულა ყველა საერთაშორისო ტენდერი, გამოავლინა გამარჯვებული სამშენებლო კომპანიები და მზად არის ანაკლიის პორტის მშენებლობის ახალ, კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში გადასასვლელად. რაც შეეხება სამშენებლო ვადებს, თუ შემდეგი ერთი თვის მანძილზე მთავრობასა და ბანკებს შორის მოხდა შეთანხმება მერვე პუნქტთან დაკავშირებით, დარწმუნებით ვაცხადებთ, რომ ანაკლიის პორტი დადგენილ ვადებში – 2020 წლის ბოლოს – 2021 წლის დასაწყისში შეძლებს პირველი გემის მიღებას,“ – აღნიშნულია განცხადებაში.

ცნობისთვის, მთავრობა კონსორციუმს ფინანსური დახურვის ვადას, რომელიც 15 ივნისს იწურება, 6 თვით გაუხანგრძლივებს.



საქართველოში ჟოლოზე მოთხოვნა მიწოდებას აჭარბებს

საქართველოში ჟოლოს სეზონი უკვე ორი კვირაა დაიწყო. როგორც პროდუქტის მწარმოებელი შპს „ფრეშ ბერისის“ დირექტორი და თანადამფუძნებელი ალექსი იუკურიძე აცხადებს, ჟოლოზე მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ მკვეთრად აღემატება მიწოდებას.

შპს „ფრეშ ბერისი“ სიღნაღში 2017 წელს, პროექტის – „დანერგე მომავალი“ მხარდაჭერით დაფუძნდა. პლანტაციების საერთო ფართობი 15 ჰექტარია, საიდანაც 5 ჰექტარი ჟოლოს, 10 ჰექტარი კი მაყვალს უკავია. კომპანიამ პირველი სამრეწველო მოსავალი სწორედ წელს მიიღო.

როგორც შპს „ფრეშ ბერისის“ დრექტორი East fruit-თან საუბრისას აცხადებს, კარგი ხარისხის ჟოლოს შეძენა პირდაპირ ბაღიდან 8 ლარი ღირს, შეკვეთა კი გაცილებით ძვირია.

– დღეის მდგომარეობით ჟოლოზე მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას. ამას ხელი შეუწყო არასასურველმა ამინდებმა, რამაც გარკვეულ ადგილებზე მოსავალი დააზიანა. ამას ემატება ისიც, რომ ადრეული ჟოლოს ჯიშები საქართველოში არცთუ ისე ბევრია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო ბაზრებში ჟოლო მხოლოდ დილის საათებშია ხელმისაწვდომი. რაც შეეხება ფასებს, ბაზარში 6 ლარიდან იწყება (ხარისხის მიხედვით იზრდება), სუპერმარკეტებში კი 12-13 ლარიდან. ივნისის შუა რიცხვებიდან, როდესაც ჟოლოს სეზონი ოფიციალურად იწყება, ფასები შედარებით იკლებს, თუმცა ამჯერად რამდენით შემცირდება, წინასწარ ვერ გეტყვით, – აცხადებს ალექსი იუკურიძე.

მისივე ინფორმაციით, მათი კომპანიიდან პროდუქტის მყიდველები ძირითადად სუპერმარკეტები, სადისტრიბუციო კომპანიები და გადამყიდველები არიან. როგორც ალექსი იუკურიძე აღნიშნავს, რამდენიმე დღეში მათი ჟოლო დიდ ქსელურ მარკეტშიც გამოჩნდება.

რაც შეეხება ექსპორტს, კომპანიის დირექტორის თქმით, პროდუქტი საცდელად უკვე გადაეგზავნა რუსეთს, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს და ყატარს. სამომავლოდ კი „ფრეშ ბერისი“ Global G.A.P-ის სერთიფიკატის მიღებასაც გეგმავს, რათა ჟოლო ევროპის ბაზარზე გაიტანოს.

ბპნ

კაკაურიძე: „ხორბალი განსხვავებული პროდუქტია, რომლის მარაგები ქვეყანაში აუცილებელია“

ხორბლის იმპორტიორებისთვის შეღავათების შენარჩუნებას, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე სსნის. მისი თქმით, ხორბალი განსხვავებული პროდუქტია, რომლის მარაგები ქვეყანაში აუცილებელია.

– მარაგები ქვეყანაში აუცილებელია. სახელმწიფოს მოთხოვნაა, ქვეყანაში ხორბლის მარაგები არსებობდეს და, შესაბამისად, ამ ნაწილში იყოს გარკვეული შეღავათი. მარაგზე გადასახადი წინასწარ არ უნდა გადაიხადოს, – განაცხადა კაკაურიძემ.

რაც შეეხება ბიზნესთან კომუნიკაციის მხრივ დასმულ კითხვას, კაკაურიძის შეფასებით, შესაძლოა, ბიზნესთან კომუნიკაცია ადრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორია და ეს საქართველოს ეკონომიკისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ფინანსთა მინისტრის, ივანე მაჭავარიანის ბრძანებით, ე.წ. ოქროს სიაში მყოფი კომპანიებისთვის იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადასთან დაკავშირებული შეღავათი გაუქმდა. შემოსავლების სამსახურის განმარტებით, იმპორტის გადასახდელების გადახდის ხუთდღიანი ვადა გავრცელდება „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილ საქონელზე, ნაცვლად ცვლილებამდე მოქმედი 30-დღიანი ვადისა, წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) დეკლარირებულ საქონელზე, ნაცვლად ცვლილებამდე მოქმედი 15-დღიანი ვადისა და დეკლარანტის მიერ შევსებული და რეგისტრირებული დეკლარაციით გაფორმებისას, ნაცვლად ცვლილებამდე მოქმედი 10-დღიანი ვადისა. ამასთან, „ოქროს სიის“ მონაწილე კომპანიისთვის ხორბალზე იმპორტის გადასახდელების გადახდის 45-დღიანი ვადა შენარჩუნდება.

bfm.ge

მშენებლობაზე დასაქმებულმა 4 ათასზე მეტმა ადამიანმა სამუშაო დაკარგა

მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4 175 კაცით, ხოლო 2018 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით – 12 745 ადამიანით შემცირდა.

კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის 1-ელ კვარტალში დარგში დასაქმებული იყო 59 662 ადამიანი. მაშინ როცა, 2018 წლის 1-ელ კვარტალში სექტორში 63 837; ხოლო მე-4 კვარტალში – 72 407 პირი იყო დასაქმებული.

სამშენებლო სფეროს წარმომადგენლები უკვე რამდენიმე თვეა საუბრობენ, რომ დარგში დასაქმებულმა ათასობით ადამიანმა შესაძლოა, სამუშაო დაკარგოს. ეს კი მათი შეფასებით, მიმდინარე წლის იანვრიდან საფინანსო სექტორში ამოქმედებულ რეგულაციებს უკავშირდება.

კერძოდ, როგორც მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილი გასულ თვეებში აცხადებდა, რეგულაციების შედეგად დეველოპერულ კომპანიებს გაყიდვები დაახლოებით, 30-35%-ით შეუმცირდათ. შედეგად კი, მისი პროგნოზით, საერთო დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 10% -ით შემცირდებოდა, ხოლო დაახლოებით 20%-ს შემოსავალი გაუნახევრდებოდა.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის იანვრიდან საფინანსო სექტორისთვის ამოქმედდა რეგულაციები, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს შემოსავლის დადასტურების გარეშე, სესხის აღება აეკრძალათ. ასევე შეიცვალა სესხის კოეფიციენტები და მისი მოცულობის ლიმიტიც. აღსანიშნავია, რომ რეგულაციების ამოქმედებამ გარკვეული პრობლემები უკვე შეუქმნა ბიზნესს (ტექნიკის მაღაზიები, სამშენებლო სექტორი) და ასევე იმ მოქალაქეებს, რომელთაც შემოსავალი ოფიციალურად არ უფიქსირდებათ.

ბპნ

ადვოკატი დოხტურიშვილი: „ლელა ქსოვრელი ბრალს არ აღიარებს“

გუშინ, 12 ივნისს, სანზონაში 4 წლის ნინო ზალინაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით დაკავებული ლელა ქსოვრელის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე მისი შვილი დაიკითხა.

როგორც საქმის პროკურორმა, ლევან ჟორჟოლაძემ ჟურნალისტებს სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა, სხდომაზე აღნიშნული საქმის მწარმოებელი გამომძიებლებიც დაიკითხნენ.

– დღევანდელ სასამართლო სხდომაზე გამომძიებლები დაიკითხნენ, რომლებმაც სასამართლოს მიაწოდეს ინფორმაცია მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებების წარმომავლობის, ავთენტურობის, შინაარსის სისწორის შესახებ.

ასევე დაიკითხა ბრალდებულის მეზობელი, რომელიც ერთ-ერთი შემთხვევის დროს ადგილზე იმყოფებოდა, ასევე დაიკითხა გარდაცვლილის და, რომელიც მოცემულ საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლედაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოწმე არ ცხოვრობდა ამ ოჯახში, სასამართლოს მიაწოდა თავისი მოსაზრება საქმესთან დაკავშირებით. ვინაიდან ეს პიროვნება არ ცხოვრობდა ოჯახში, მას ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

აღნიშნული მოწმე ზოგადად დაიკითხა, გარდაცვლილის შესახებ მისთვის ცნობილ ინფორმაციებთან დაკავშირებით. თუნდაც, იმ ფაქტებზე, თუ რა უძღოდა წინ ამ ბავშვის გაშვილებას და შემდეგში საცხოვრებელ პირობებს.

გარკვეულ გარემოებას, რასაც გამოძიება მიუთითებს არა მარტო კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ, არამედ ზოგადად, საქმესთან დაკავშირებით, ეს მოწმეც ადასტურებს. სწორედ ამიტომ იქნა ის სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ გამოძახებული, – განაცხადა ჟორჟოლაძემ.

ლელა ქსოვრელი ბრალს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მას შვილისთვის არც ერთი დაზიანება არ მიუყენებია.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ლელა ქსოვრელის ადვოკატმა თამარ დოხტურიშვილმა განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, დადგენილი არ არის, თუ რა ვითარებაში მიიღო 4 წლის ბავშვმა ტვინის შეშუპება.

– ბავშვის გარდაცვალების მიზეზი თავის ტვინის შეშუპებაა, მაგრამ ბავშვმა რა ვითარებაში მიიღო ეს დაზიანება, არ იკვეთება. ამაზე არც კომპლექსური ექსპერტიზა არ არის ჩატარებული. ლელა ქსოვრელი ბრალს არ აღიარებს და მიაჩნია, რომ მას შვილისთვის არც ერთი დაზიანება არ მიუყენებია. ის ძალიან განიცდის და სულიერად მძიმე მდგომარეობაშია. პრესასთანაც უჭირს ურთიერთობა, – განაცხადა დოხტურიშვილმა.

მისივე თქმით, დაკითხულმა მოწმემ, რომელიც ლელა ქსოვრელის შვილია, სასამართლოში განაცხადა, რომ ქსოვრელი ყურადღებიანი დედა იყო.

– დღეს დაიკითხა გარდაცვლილი ბავშვის და, ანუ ლელა ქსოვრელის შვილი, რომელმაც განაცხადა, რომ დედა იყო ძალიან თბილი, ძალიან ყურადღებიანი ყველა შვილის მიმართ და ყოველთვის მოწესრიგებული ჰყავდა ყველა ბავშვი. ქსოვრელს შვილთან კონფლიქტი რომ ჰქონოდა, ეს მოწმეს არ დაუფიქსირებია.

დღეს დაკითხული პირი 4 წლამდე სხვაგან იზრდებოდა, ხოლო აგვისტოდან იანვრის ჩათვლით, ლელასთან, – განაცხადა დოხტურიშვილმა.

ლელა ქსოვრელი შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევისთვის დააკავეს, თუმცა, გამოძიების მიმდინარეობისას, მას ბრალი სხვა მუხლითაც წაუყენეს.

პროკურატურის ინფორმაციით, 4 წლის გოგონას ქსოვრელმა თავის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით, რამაც მცირეწლოვანი გოგონას ტვინის მკვეთრი შეშუპება და სისხლჩაქცევა გამოიწვია, რის შემდეგაც ის გარდაიცვალა.

2019 წლის 25 თებერვალს ლელა ქსოვრელს წარედგინა დაზუსტებული ბრალი საქართველოს სსკ-ის 111.117-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

ასევე, 111.126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის სისტემატურ ცემასა და ძალადობას გულისხმობს, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და 111.381-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ.

გამოძიების ინფორმაციით, 2019 წლის 21 იანვრიდან 22 იანვრამდე ღამის პერიოდში, ლელა ქსოვრელმა თავის არასრულწლოვან შვილს ნინო ზალინაშვილს თავის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით. მიყენებულმა დაზიანებებმა გამოიწვია სისხლჩაქცევა და თავის ტვინის მკვეთრი შეშუპება, შედეგად 2019 წლის 22 იანვრის დილის საათებში ბავშვი გარდაიცვალა.

გამოძიება ასევე დაწყებულია გარდაცვლილი გოგონას 5 წლის ძმის, ლ. ქ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებების თაობაზე. აღნიშნული საქმე ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი ლელა ქსოვრელის ბრალდების საქმიდან. გამოძიება ასევე მიმდინარეობს სოციალური მუშაკების მხრიდან შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტთან დაკავშირებით.

სამართალდამცავებმა ასევე დააკავეს ნინო ზალინაშვილის მამინაცვალი, არკადი ძვაშვილი. მას ბრალი საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით წარედგინა, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს არასრულწლოვნის მიმართ.

მკვლელობა ყანდაურაში – ომარ გამყრელიძის მეუღლე გარდაიცვალა

სოფელ ყანდაურაში 4 ადამიანის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ომარ გამყრელიძის მეუღლე გარდაიცვალა.

ის საკუთარ სახლში 11 ივნისს, გვიან ღამით გადმოასვენეს.

გამოძიების ინფორმაციით, ქმარმა 72 წლის ქალს თავის არეში მძიმე დაზიანება ცეცხლსასროლი იარაღიდან მიაყენა.

დაშავებული მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში.

გარდაცვლილის ოჯახი მედიასთან არ კონტაქტობს. ოჯახი, რომელსაც შვილი და ცოლი მოუკლეს, აცხადებს, რომ სამართალდამცავები მათ ამ დრომდე არ დაკავშირებიან.

ყანდაურაში მკვლელობა 3 მაისს მოხდა. მკვლელობისთვის 85 წლის მამაკაცი დააკავეს, მომხდართან დაკავშირებით დაკითხეს მისი შვილიშვილი, ხოლო ძებნაშია მისი შვილი, რომელიც ყოფილი სპეცრაზმელია.

ბათუმში სექსუალური ორიენტაციის ნიშნით მუქარის გამო 1 პირი დააკავეს

დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მუქარის ფაქტზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში 1 პირი მიეცა.

„2019 წლის 22 მაისს, საქართველოს შსს ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოში დაიწყო გამოძიება მოქალაქე უ.ყ.-ს მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე. აღნიშნული დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმეზე ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის გამოკითხულ იქნა ინციდენტის შემსწრე ყველა პირი.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წლის 19 მაისს, ღამის საათებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, ზ.ყ., სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მოქალაქე უ.ყ.-ს, რა დროსაც ამ უკანასკნელს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. აღნიშნული მუქარა გამოწვეული იყო უ.ყ.-ს მიერ ლგბტ+ თემთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ტელე-გადაცემაში მონაწილეობის მიღებასთან.

ბრალდებულ ზ.ყ.-ს წარედგინა ბრალდება სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სიცოცხლის მოსპობის მუქარის ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმეზე გრძელდება გამოძიება“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბორჯომში ჯიხურში 60 წლის გარდაცვლილი მამაკაცი იპოვეს

ბორჯომში, 60 წლამდე ასაკის მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

ცემის მიმდებარე ტერიტორიაზე, სწრაფი კვების ჯიხურში ნაპოვნ მამაკაცს დაზიანებები თავის არეში აღენიშნება.

შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები.

ბორჯომში გარემოს დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები დაჭრეს

რამდენიმე დღის წინ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს ორი თანამშრომელი ცივი იარაღით დაჭრეს. დაჭრილები ბორჯომის ჯეო-ჰოსპიტალსის სამედიცინო ცენტრში არიან მოთავსებული. მათ ოპერაცია ჩაუტარდათ და საავადმყოფოდან რამდენიმე დღეში გაწერენ.

გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლებმა კანონდარღვევის ფაქტი გამოავლინეს.

მომხდარს ადასტურებენ შშს-ში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბორჯომის ხეობაში გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით 3 პირი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, დაკავებული პირები არიან: 1992 წელს დაბადებული გ. ა., 1990 წელს დაბადებული ვ.კ. და 1990 წელს დაბადებული გ.მ.

მათი ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 9 ივნისს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები: 1988 წელს დაბადებული ს.პ., 1989 წელს დაბადებული ბ.ვ. და 1985 წელს დაბადებული დ.თ. ბორჯომის რაიონის სოფელ ლიბანის ტერიტორიაზე სამსახურებრივი ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ, რა დროსაც შეხვდათ სამი პირი. ურთიერთშელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

გ.ა.-მ ფიზიკური დაპირისპირების დროს დანის გამოყენებით დაჭრა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი, რომლებიც გადაყვანილი იქნენ ბორჯომის სამედიცინო ცენტრში.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჩადენილი დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების, ჯგუფურად ორი ან მეტი პირის მიმართ განხორციელებული ძალადობის და მუქარის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

გერის მიმართ ძალადობაში ბრალდებულს 2 წლით პატიმრობა მიესაჯა

გერის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

„თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გერის მიმართ განხორციელებული ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებული კ.ც. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 26 ნოემბერს, მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევმა კ.ც.-მ ქ.თბილისში საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, გერს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილი შეესწრო.

სამართალდამცველებმა კ.ც. სასამართლოს განჩინების საფუძველზე ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კ.ც. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“ – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აგარაში მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

აგარაში მომხდარ სასტიკ მკვლელობაში ბრალდებულ მამაკაცს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

პროკურატურის მოთხოვნით, პროცესი დახურული იყო.

გამოძიების ინფორმაციით, 53 წლის მამაკაცმა მეგობარს 16 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მან ასევე 13 უმძიმესი ჭრილობა, მათ შორის ყელის არეში, მიაყენა მეუღლეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ზვიად დევდარიანის სარჩელი არ მიიღო

სექსუალურ შევიწროებაში მხილებული ზვიად დევდარიანის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად არ მიიღო.

დევდარიანი ასაჩივრებდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არსებულ ჩანაწერს, რომლის მიხედვით, სახალხო დამცველის რეკომენდაცია საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება და კანონის ამ ნორმას არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა.

სარჩელის საფუძველი გახდა 2018 წლის პირველ ნოემბერს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მოსარჩელის წინააღმდეგ გამოცემული რეკომენდაცია №13/13851, რომლის საფუძველზეც დადგინდა მოსარჩელის მიერ სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა მას უკრძალავს ზემოაღნიშნული აქტის სასამართლოში გასაჩივრებას, რაც ეწინააღმდეგება სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ფორმით დაყენება გამოწვეულია მოსარჩელის მიერ სადავო ნორმის შინაარსის არასწორი აღქმით. კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი არგუმენტაცია არ მიემართება სადავო ნორმის რეალურ შინაარსს, შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად.

განჩინება მოსამართლეთა მეორე კოლეგიამ მიიღო, რომლის შემადგენლობაშიც არიან თეიმურაზ ტუღუში – სხდომის თავმჯდომარე; ირინე იმერლიშვილი – წევრი; მანანა კობახიძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე; თამაზ ცაბუტაშვილი – წევრი.

ტრამპი და ბაიდენი აიოვაში ჩავიდნენ



აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებამდე 17 თვე რჩება. დღეისთვის უმთავრეს პრეტენდენტებად პრეზიდენტი ტრამპი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ითვლებიან.

აიოვაში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ორივენი ერთდროულად ჩავიდნენ. ეს შემთხვევით მოხდა. მიუხედავად ამისა, ბაიდენმა და ტრამპმა ერთმანეთი მკაცრად გააკრიტიკეს.

– ხალხი გააკეთებს იმის არჩევანს, თუ ვინ გახდება აშშ-ის შემდგომი პრეზიდენტი, – თქვა

აშშ პოლონეთში ჯარის დამატებით ნაწილებს განათავსებს

აშშ პოლონეთში დამატებით ჯარებს განათავსებს. ამის თაობაზე პოლონეთის პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ განაცხადა.

– ამერიკელებთან მიღწეულია შეთანხმება ახალი სამხედრო ბაზის ფორტ ტრამპის მშენებლობასთან დაკავშირებით. აშშ პოლონეთში დამატებით საჯარისო კონტინგენტს განათავსებს, – ამბობს დუდა.

პოლონეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის აგრესია იზრდება. საფრთხე იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ჰიბრიდული ომი ფართომასშტაბიანში გადაიზრდება, დიდია.

ასეთ სიტუაციაში მშვიდობის გარანტი მხოლოდ აშშ შეიძლება გახდეს.

– ამიტომაც პოლონეთმა ამერიკულ ბაზებს მწვანე შუქი აუნთო, – თქვა დუდამ.

იემენელი ჰუსიტები საუდის არაბეთის აეროპორტს თავს დაესხნენ

26 ადამიანი დაშავდა

იემენში მიმდინარე რელიგიურ-სამოქალაქო ომის მონაწილე მხარემ, შიიტური ისლამის მიმდევარმა ჰუსიტებმა რაკეტა საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, ორი სახელმწიფოს საზღვრიდან 200 კილომეტრით დაშორებულ სამოქალაქო აეროპორტ აბხას ესროლეს.

26 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 3 ქალი და 2 ბავშვი, დაზიანდა შენობაც.

8 კაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. დანარჩენებს სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს.

საუდის არაბეთი იმ სამხედრო ალიანსის ლიდერია, რომელიც იემენში მხარს უჭერს სუნიტების ალიანსს. ამ კოალიციას მხარს უჭერს დასავლეთიც. ალიანსის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მკაცრ პასუხს გასცემენ სამოქალაქო აეროპორტზე თავდამსხმელებს.

სუნიტების აზრით, ამ ინციდენტმა ნათლად დაადასტურა ირანის მიერ შიიტი ჰუსიტების მხარდაჭერა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

მცველი, რომელიც მაღაროელებს ლომებისგან იცავდა, სპილომ მოკლა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში სპილო თავს დაესხა მცველს და მოკლა.

თავდასხმა შაბათ ღამით მოხდა. 45 წლის ერიკ კგატლეს აცნობეს, რომ ეროვნული პარკიდან 14 დამშეული ლომი გამოიქცა და ის გააგზავნეს შორიახლოს მდებარე მაღაროს შესასვლელების გასაკონტროლებლად, რათა იქ მტაცებლების გამოჩენის შემთხვევაში მაღაროელების დაცვა უზრუნველეყო. მამაკაცი ქოხიდან ანთებული მაშხალით გამოვიდა, როდესაც ბუჩქნარიდან საეჭვო ხმები შემოესმა. როგორც გაირკვა, ეს იყო სპილო. ცხოველი კგატლეს მოულოდნელმა გამოჩენამ გააცოფა, თავს დაესხა და ფეხებით გასრისა.

დაშავებული მამაკაცი მისმა კოლეგამ აღმოაჩინა, რომელმაც გაიგონა, თუ როგორ ღრიალებდა სპილო. ის შეეცადა დაშავებულისთვის დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ კგატლე ადგილზევე დაიღუპა. მომხდარის გამოძიებას დაღუპულის მეგობარი ცდილობს.

სავარაუდოდ, სპილომ პარკის ღობე გაანგრია და იმ ადგილისკენ გაემართა, სადაც ლომების ხროვა იყო დაბანაკებული. პარკის თანამშრომლები გაქცეული ცხოველის დაჭერას და ასევე ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მტაცებლების სხვა ადგილას გადაყვანას გეგმავენ.

კურიერი ცდილობდა, პიცა ბრიტანეთის დედოფლისთვის მიერთმია

დიდ ბრიტანეთში პოლიციამ ბუკინჰემის სასახლის კართან დააკავა Domino's-s პიცის დამტარებელი. მამაკაცი ამტკიცებდა, რომ დედოფალ ელისაბედ II-თვის შეკვეთა მიიტანა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კურიერმა ადგილზე მიიტანა ოთხი ცალი დიდი პიცა „ჩიზბურგერი“ კლიენტის, სახელად ელისაბედისთვის, რომელიც ბუკინჰემის სასახლეში ცხოვრობდა. ორმა შეიარაღებულმა პოლიციელმა პიცერიის თანამშრომელი შეაჩერა. ერთ-ერთმა დედოფლის მოსამსახურეს დაურეკა და დააზუსტა, მართლა შეუკვეთა თუ არა ელისაბედ II-მ 46 ფუნტი სტერლინგის პიცა.

საბოლოოდ გაირკვა, რომ პიცის დამტარებელი თაღლითმა ცრუ შეკვეთით გააბითურა. Domino's-s წარმომადგენელმა ჟუჟანა კეიზერმა ხუმრობით განაცხადა, ყოველთვის ეჭვობდა, რომ სამეფო ოჯახს მათი პროდუქცია უყვარდა. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მართალია მათი თანამშრომელი რეზიდენციის ტერიტორიაზე არ შეუშვეს, თუმცა პოლიციელებმა მათ პიცას მაღალი შეფასება მისცეს.

ბეჰემოთების ჯოგი რაგბის მოედანზე შეიჭრა

სამხრეთ აფრიკის პროვინცია ლიმპოპოში ბეჰემოთების ჯოგმა რაგბის სათამაშო მოედანზე შეაღწია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

ცხოველები ადგილობრივმა მკვიდრმა ბენ კრიუგერმა შენიშნა. მის მიერ გადაღებულ ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ ძოვენ და თელავენ ბალახს ბეჰემოთები თავიანთ ნაშიერებთან ერთად.

მართალია ბეჰემოთებს ხორცის ჭამაც შეუძლიათ, თუმცა ბალახის მჭამელ ცხოველებად ითვლებიან. ისინი დროს ძირითადად წყალში ატარებენ და ხმელეთზე ძირითადად ბალახის საჭმელად გამოდიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საბა კვირკველია: „კოშმარია ტრიბუნიდან ფეხბურთის ყურება“

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის ლოკომოტივის მცველ საბა კვირკველიას ეროვნულ გუნდში ბოლო მატჩები ტრავმის გამო არ უთამაშია. სიმართლე ითქვას, საბა ძალიან დააკლდა გუნდს.

კვირკველია 2.5 წელია ლოკომოტივში თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ჩემპიონობაც მოასწრო, მოიგო იქაური თასი და მისი გუნდი ახალი სეზონიდან კვლავ ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს.

კონტრაქტი კლუბთან 2021 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, თუმცა, თუ მსურველი გამოუჩნდა, შეუძლიათ საბა 3.6 მილიონ ევროდ გამოისყიდონ.

ამ და სხვა საინტერესო თემებზე, კვირკველიამ რუსულ მედიასთან ისაუბრა.

– რუსეთში სეზონის დასრულების შემდეგ ნაკრებში გამოძახებამდე რამდენიმე უქმე დღე გამოგივიდათ, როგორ დაისვენეთ?

– პირდაპირ საქართველოში წავედი. თუმცა, ნაკრებში ტრავმის გამო ვერ ვითამაშე. გახსოვთ, უფასთან მატჩში 15 წუთით რომ გამოვედი? მაშინ დავიზიანე კუნთი. სერიოზული არაფერია, მაგრამ დასვენება მჭირდება. მინდოდა თამაში, 3-4 დღე ვივარჯიშე კიდეც, ექიმებიც მამზადებდნენ, მაგრამ ერთი დღით ადრე სახლში მომიწია წასვლა. ახლა შინ ვარ ოჯახთან ერთად. ნაკრების თამაშის დროს ტრიბუნიდან ვგულშემატკივრობდი. ჯერ საქართველოში ვიქნები. შეიძლება რამდენიმე დღით ოჯახთან ერთად სადმე წავიდე.

– საქართველოში დასვენება საშიშია ზედმეტი წონისთვის?

– ძალიან. თუმცა, პროგრამა მოგვცეს, ვივარჯიშებ და შევეცდები, რომ 2 კილოზე მეტი არ მოვიმატო. წინასასეზონო შეკრებაზე კი 2 კილოს დაგდება 3 დღეშია შესაძლებელი.

– რამდენია სარეკორდო წონა, რომელიც მოგიმატებია?

– ოოო, არ შემიძლია გითხრათ. 2-ზე მეტი იყო. მაშინ მკაცრად გამაფრთხილეს – საბა, ასე არ შეიძლება. ნამდვილად აღარ გავაკეთებ ასე.

– ეს როდის იყო?

– ერთი წლის წინ, საჩემპიონო სეზონის შემდეგ.

– 3 კერძი, რომელიც უნდა გასინჯო საქართველოში.

– პირველი – აჭარული ხაჭაპური, შემდეგ ხინკალი და მესამე ღორის მწვადი. ნამდვილი...

– გასულ სეზონში ლოკომოტივმა ჩემპიონატის სტარტი და ჩემპიონთა ლიგა ჩააგდო. თუმცა, სეზონი მე-2 ადგილით და რუსეთის თასის მოგებით დაასრულა. კმაყოფილი უფრო ხარ თუ გაწბილებული?

– როდესაც გუნდში მივედი, თასი მოვიგეთ, შემდეგ ჩემპიონები გავხდით, წელს მე-2 ადგილი და ისევ თასი. ვფიქრობ, ეს კარგი შედეგია. გუნდში ამბიციური ფეხბურთელები ვართ, გვინდა მოგება და ამის გაკეთებას შევეცდებით მომავალშიც. მართალია, წელს მე-2 ადგილზე გავედით, მაგრამ ცუდი სეზონი არ გვქონია.

– თასის ფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვე.

– დიახ, მაგრამ გუნდთან ერთად გავფრინდი სამარაში და ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს. ეს კოშმარი იყო – გვერდიდან ყურებას თამაში ჯობია. მოედანზე ისე არ განვიცდი, როგორც ტრიბუნაზე. ალბათ ორმაგად უფრო ვნერვიულობდი.

– ჩემპიონთა ლიგისთვის ლოკო გაძლიერდა, შედარებით სუსტ ჯგუფშიც მოხვდა, მაგრამ ბოლო ადგილი დაიკავა. რა იყო ამის მიზეზი?

– ყველაფერი ისე არ წაგვივიდა, როგორც გვინდოდა. პირველი მატჩი გალათასარაისთან გვქონდა. მინიმუმ ფრე უნდა გვეთამაშა. კარგი პირველი ტაიმი ჩავატარეთ, მაგრამ ბავშვური შეცდომები და წავაგეთ. პორტუსთან საშინაო შეხვედრაში პენალტი ვერ გავიტანეთ, შალკესთან ბოლო წუთზე გავუშვით. მოკლედ, წვრილ-წვრილი შეცდომები გვქონდა, სადღაც არ გაგვიმართლა. ჩემპიონთა ლიგაზე კი ასე არ შეიძლება. ერთხელ შეცდები და იმწამსვე დაგსჯიან. თუმცა, გამოცდილება მივიღეთ და შემდეგ სეზონში უკეთ ვითამაშებთ.

– სტამბულში ისეთი ხმაური იყო, რომ პრესლოჟაში ერთმანეთის არ გვესმოდა. გალათასარაის სტადიონის ატმოსფერო ყველაზე მეტად გამოირჩევა თქვენს კარიერაში?

– იქ ძალიან მაგარი ატმოსფეროა, მაგრამ ჩემზე უფრო დიდი შთაბეჭდილება „ენფილდმა“ მოახდინა, როცა რუბინის შემადგენლობაში ვიყავი და ლივერპულთან ფრედ ვითამაშეთ. როგორ მღერიან – ეს უბრალოდ არარეალურია! გამოდიხარ და გესმის „შენ არასდროს იქნები მარტო“ და სიამოვნებას იღებ. აი, ისინი ნამდვილად ფეხბურთით ცხოვრობენ.

– ჩემპიონთა ლიგის მომავალ სეზონში ლივერპული პირველ კალათაში იქნება განთესილი, ლოკო – მეოთხეში. შესაძლებელია, ისევ მოგიხდეთ „ენფილდზე“ გასვლა.

– სიამოვნებით გავალ. მით უფრო, რომ რაც უფრო ძლიერია გუნდი, უფრო მეტი შესაძლებლობა გაქვს, საკუთარი დონე შეამოწმო.

– რუსეთის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელების გამოკითხვაში ხმა საკუთარ თავს მიეცი.

– ჰა-ჰა. ეს ხუმრობა იყო. სხვათა შორის, ორივე მირანჩუკიც დავასახელე. აი, მათ ნამდვილად დაიმსახურეს. ვფიქრობ, ორივე ძმა საკუთარ პოზიციაზე რუსეთში საუკეთესოა.

– ზამთარში ლოკოში კიდევ ერთი ქართველი მოვიდა – ხვიჩა კვარაცხელია. ის ამ თაობის ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია საქართველოში?

– ერთ-ერთი. მას ნამდვილად დიდი მომავალი აქვს. ყველა მონაცემი გააჩნია ფეხბურთის სათამაშოდ. დანარჩენი მასზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება.

– კვარაცხელია იჯარით არის. არ ელაპარაკე სიომინს ან კიკნაძეს სრულყოფილ კონტრაქტზე?

– მინდა, რომ ლოკოში დარჩეს, მაგრამ ჩემი, როგორც ფეხბურთელის მხრიდან, არასწორი იქნება, რამე ვთხოვო და რჩევა მივცე მათ. ეს არც არის საჭირო – ყველამ ნახა, როგორ თამაშობს. მენეჯერი ჰყავს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს განიხილავენ და საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

– შენს მომავალზე რას გვეტყვი? კონტრაქტი 2021 წლის ზაფხულამდე გაქვს, თუ გისაუბრია კლუბში მის გახანგრძლივებაზე?

– ამაზე არავისთან მისაუბრია. 2 წელი დამრჩა, ამიტომ დრო მაქვს.

– გაზაფხულზე ნობელ არუსტამიანმა თქვა, რომ პირველი ივლისიდან შენს კონტრაქტში გაწერილია მინიმალური გამოსასყიდი თანხა 3.6 მილიონი ევრო. ეს სიმართლეა?

– თუ ნობელმა თქვა... პლუსმინუს, ეგრეა.

– გასულ წელს წერდნენ, რომ შენით ინგლისური პრემიერლიგის კლუბები იყვნენ დაინტერესებულები. ევროპაში რომ დაგიძახონ, წახვალ?

– ლოკოში უკვე 2.5 წელია ვარ და ყველაფერი მოვიგე. თუ კარგი შემოთავაზება მექნება ევროპიდან, რატომაც არა? სხვა ქვეყანაში ტიტულის აღებაც შეიძლება სცადო. ჩემპიონი გახდე, თასი მოიგო და დასრულდეს – ეს ჩემზე არ არის, მე ასეთი არ ვარ. გამარჯვებები მწყურია! რაც უფრო მეტი ტიტულია, მით უკეთესი.

– ანუ, თუ წასვლაა, მაშინ მხოლოდ ტოპ-კლუბში?

– გადარჩენისთვის ბრძოლას აზრი არ აქვს. იდეალურ ვარიანტში მსურს ტოპ 5-ის რომელიმე ჩემპიონატში თამაში და მინიმუმ ევროპა ლიგისთვის ვიბრძოდე. რა თქმა უნდა, რთულია იქ მოხვედრა, მაგრამ თუ იქნა კლუბისთვისა და ჩემთვის საინტერესო წინადადება, მაშინ დავფიქრდები. ეს კარიერაში შესაძლოა კარგი ნაბიჯი იყოს.

– მაგალითად, ხვალ ინგლისური პრემიერლიგის კლუბი გამოვიდა, მაგრამ არა ტოპ-5-დან. არც კი განიხილავთ?

– არა, რატომ? ნებისმიერ წინადადებას განვიხილავ, მხოლოდ ჩელსიში გადავალ ან არსად – ასე საკითხს არ ვაყენებ. თუ ნორმალურ პირობებსა და გუნდს შემომთავაზებენ, რატომაც არა? განვიხილავ.

– მართალია, რომ გასული სეზონის შემდეგ შეგეძლო წასვლა?

– 2-3 ვარიანტი იყო – ინგლისიდან და გერმანიიდან. ერთ-ერთი მათგანი ლესტერი იყო. რატომ არ წავედი? ამოცანა გვქონდა ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა. გუნდი კარგად გააძლიერეს. ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ დარჩენა ჯობდა.

– ინგლისში მინიმუმ ერთი გუნდია, სადაც ალბათ არ წახვალ – უოტფორდი.

– რატომ, რადგან იქ ხავიერ გრასიაა? მოიცათ, ეს ფეხბურთია და ცხოვრებაში შესაძლოა ყველაფერი მოხდეს.

წყალბურთელთა ნაკრებს ევროპაზე გასვლის შანსი კიდევ აქვს

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები იმ მცირე ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც გუნდურ სახეობებში წარმატებას აღწევენ. ჩვენები სამჯერ იყვნენ გასული ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და ამის შანსი, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ მიეცემათ.

წყალბურთში 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის ციკლის წილისყრა გაიმართა. საქართველოს ნაკრები ა შესარჩევ ჯგუფში მოხვდა, რომლის მატჩებიც თბილისში გაიმართება. ჯგუფში გერმანია და შვეიცარია არიან. ფინალურ ეტაპზე 3 ნაკრებიდან 2 გადის. შვეიცარიის ნაკრები არ განეკუთნება დაუმარცხებელთა კატეგორიას და მათთან მოგება თავისუფლად არის შესაძლებელი, ხოლო თუ გერმანიის ნაკრების დამარცხებასაც მოვახერხებთ, მაშინ ფინალურ ეტაპზე უკეთ ჯგუფში მოხვედრის შანსიც იზრდება.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი კი, 2020 წლის იანვარში ბუდაპეშტში გაიმართება, რომელშიც 16 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ჩემპიონატი ადრე იმიტომ იწყება, რომ 2020 ოლიმპიადის წელია და ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირიც უნდა მოესწროს.

ფინალური ეტაპის 8 მონაწილე ცნობილია, დანარჩენი 8 ადგილისთვის 13 ნაკრები იბრძოლებს.

ა ჯგუფი, საქართველო: გერმანია, საქართველო, შვეიცარია;

ბ ჯგუფი, სლოვაკეთი: საფრანგეთი, სლოვაკეთი, უკრაინა, ბელარუსი;

ც ჯგუფი, მალტა: რუმინეთი, მალტა, პორტუგალია;

დ ჯგუფი, ჰოლანდია: ჰოლანდია, თურქეთი, ლიტვა.

ა ჯგუფის თამაშები თბილისში 11-13 ოქტომბერს გაიმართება.

ახალგაზრდა მოჭიდავეთა მონაგარი

პონტევედრეს (ესპანეთი) ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 3 მედლით დაასრულა.

საქართველოს ნაკრებისთვის ყველაზე წარმატებული 86 კილოგრამ წონითი კატეგორია გამოდგა, სადაც მირიან მაისურაძემ ოქროს მედლამდე გაიკვალა გზა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად ქართველმა ფალავანმა 4 შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე წარმატებით. მაისურაძემ გადამწყვეტ შეხვედრაში სომეხ მხერ მარკოსიანს 3:2 მოუგო.

საქართველოს ნაკრებს ბრინჯაოს მედლები შემატეს გოგა მამიაურმა (74 კგ) და ვასილ ხვისტანმა (125 კგ). მამიაურმა მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში აზერბაიჯანელი ნასიბ ისაიევი 10:0 დაამარცხა, ხოლო ხვისტანმა ბელარუსი მიკიტა ჰორჰუნი – 9:5.

უკეთესად იასპარეზეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა, რომლებმაც 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლის აღება მოახერხეს.

დიეგო ჩხიკვაძემ (60 კგ) ფინალამდე მიმავალ გზაზე ლიტველი, უკრაინელი და სომეხი მოწინააღმდეგეები დაამარცხა, ფინალში კი აზერბაიჯანელი ასგარ ალიზადას 8:3 მოუგო და ჩემპიონობა მოიპოვა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გიორგი შოთაძეც (67 კგ), რომელმაც ესპანელი, ბელარუსი, მოლდაველი და ნორვეგიელი ფალავნები დაამარცხა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი სომეხ ჰაიკ მეილიქიანს 9:0 მოუგო.

ფრიდონ აბულაძე (55 კგ), რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში რუსეთის წარმომადგენელი ანვარ ალახიაროვი 7:6 დაამარცხა და ჩემპიონი გახდა.

ოქროს მედლამდე ნაბიჯი დააკლდა ლერი აბულაძეს (63 კგ), რომელიც ფინალურ ორთაბრძოლაში თურქ აბდულა ტოპრაკთან 2:8 დამარცხდა. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ნიკა შერბაკოვმა (77 კგ) და გიორგი ქაცანაშვილმა (87 კგ).

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ხამესი ნაპოლის უნდა და იუვენტუსი ეცილება

კოლუმბიის ნაკრების ნახევარმცველ ხამეს როდრიგესს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ამიტომაც იყიდა თავის დროზე მადრიდის რეალმა, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა და ესპანურმა კლუბმაც მიუნხენის ბაიერნში გაანათხოვრა. ხამესს საქმეები კარგად არც ბავარიულ კლუბში წაუვიდა. ახლა იჯარა დაუმთავრდა და კვლავ რეალს დაუბრუნდა, სადაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პერსპექტივა არ აქვს.

თუმცა, 27 წლის კოლუმბიელს მშველელი გამოუჩნდა – კარლო ანჩელოტი, რომლის ხელშიც უწევდა გარჯა ბაიერნში.

როგორც ირკვევა, როდრიგესი ნაპოლის პრიორიტეტული სამიზნეა. იტალიური მედიის ცნობით, მისი გუნდში ხილვით პირადად ნეაპოლელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტია დაინტერესებული, რომლისთვისაც 27 წლის ფეხბურთელი ამ ზაფხულში მთავარი სატრანსფერო სამიზნეა. ასევე იუწყებიან, რომ ნაპოლის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისს ხამესის იჯარით აყვანა, გამოსყიდვის ოპციით სურს.

ასევე იწერება, რომ ნაპოლი ფეხბურთელს ხუთწლიან კონტრაქტს უმზადებს და თუკი ტრანსფერი შედგება, კოლუმბიელი წელიწადში 6,5 მილიონ ევროს მიიღებს.

როგორც გითხარით, როდრიგესზე იმედებს არც რეალის მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი ამყარებს და მზადაა, მისი გაყიდვის ვარიანტი განიხილოს. იუწყებიან, რომ მადრიდული კლუბი ხამესს 42 მილიონ ევროდ შეელევა.

ანჩელოტის ხელმძღვანელობით ხამესი თავის დროზე რეალშიც გამოდიოდა და ბაიერნშიც. კოლუმბიელმა ბოლო 2 სეზონი იჯარით სწორედ მიუნხენურ გუნდში გაატარა, მაგრამ საბოლოოდ ბაიერნმა მისი ტრანსფერის გამოსყიდვისგან თავი შეიკავა.

ხამეს როდრიგესმა ბაიერნში გატარებულ პერიოდში, ყველატურ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ხამესი ნაპოლის უნდა და იუვენტუსი ეცილება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნირის 67 მატჩში ითამაშა, გაიტანა 15 გოლი და მიითვალა 20 საგოლე პასი.

ხამესი ტურინის იუვენტუსსაც სურს. მეტიც, იტალიური მედია ამტკიცებს, რომ ამ ზაფხულს იუვე რეალის 4 ფეხბურთელს იყიდის – „ბებერი ქალბატონის“ ინტერესთა სფეროში არიან მარსელო, ხამეს როდრიგესი, დანი სებალიოსი და ისკო.

რეალი მართლაც დაინტერესებულია ფეხბურთელების გაყიდვით, რადგან სწორედ ამ გზით აპირებს ზაფხულის სატრანსფერო კამპანიის ნაწილობრივ დაფინანსებას. გარდა ამისა, ფლორენტინო პერესმა პირდაპირ განუცხადა ზინედინ ზიდანს, რომ თუ სასურველი ფეხბურთელების ყიდვა სურს, მაშინ არასასურველ მოთამაშეებს უნდა შეელიოს.

ვიცით, რომ ერთ-ერთი მათგანია გარეთ ბეილი, რომელსაც რეალი ვერა და ვერ იშორებს, თუმცა უელსელი არც იუვენტუსს სურს. თავის მხრივ, არც ტურინში დასჭირდებათ ამდენი ახალი ფეხბურთელი, თუ ძველებს არ გაუშვებენ. როგორც ამბობენ, იუვეში აღარ იქნებიან მარიო მანჯუკიჩი, პაულო დიბალა და ალექს სანდრო.

რეალის ფეხბურთელების მიყვანით იუვენტუსში 2 კურდღლის დაჭერას იმედოვნებენ. ერთი, რომ ეს მოთამაშეები ისედაც გააძლიერებენ გუნდს, და მეორეც – ხელსაყრელ გარემოს შეუქმნიან კრიშტიანო რონალდოს, რომელიც მათთან კარგად არის შეთამაშებული. ეს კი მისი პროდუქტიულობის გაზრდის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ჩელსის ლამპარდის დაბრუნებას მიანიშნებენ

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი მცველის რიო ფერდინანდის თქმით, ჩელსისთვის იდეალური ვარიანტი იქნება, თუ ფრენკ ლამპარდი ლონდონური კლუბის მწვრთნელი გახდება. ფერდინანდმა განაცხადა, რომ ლამპარდი გვარდიოლას სტილის მწვრთნელია, რაც ყველაზე მეტად მოუხდებოდა „არისტოკრატებს“.

ფერდინანდმა, ლურჯების ყოფილი ლეგენდალური ნახევარმცველის წლევანდელი სეზონი ჩემპიონშიპის ბინადარ დერბი ქაუნთრში დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ლამპარდი ყველაზე ღირსეული კანდიდატია სტემფორდ ბრიჯის უფროსის სკამისთვის.

მას შემდეგ, რაც ჩელსის მთავარ მწვრთნელ მაურიციო სარის იუვენტუსში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ, უცხოური მედიის ინფორმაციით, ჩელსის მესვეურები ლამპარდის სახით ემოციურ დაბრუნებას გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ ლამპარდი ვესტ-ჰემიდან ჩელსიში 2001 წელს გადავიდა და „არისტოკრატებში“ 13 სეზონი გაატარა. ამ პერიოდში მან უამრავი ტიტული მოიგო და გუნდის ლეგენდად იქცა. მისი სამწვრთნელო კარიერა დერბი ქაუნთში 2018 წელს დაიწყო და ახალ ამპლუაში თავი საკმაოდ კარგადაც წარმოაჩინა.

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

მამაკაცი წვერწამახვილებულ ბამბუკზე წამოეგო და გადარჩა

ინდოეთში მამაკაცი სასწაულებრივად გადარჩა სიკვდილს მას შემდეგ, რაც წვერწამახვილებულ ბამბუკის ჯოხზე დაეცა.

38 წლის დეკორატორი პანჩანანა პრადხანი მისაყუდებელი ბამბუკის კიბეზე იდგა და მუშაობდა. მოულოდნელად ერთ-ერთი საფეხური ჩატყდა და მამაკაცი ქვევით ჩამოვარდა. ის დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა და სხეულში კიბის ერთ-ერთი დეტალი შეერჭო, რომელშიც დიდი ლურსმანი იყო გამოჩრილი.

დაშავებული სასწრაფოდ ოდიშას შტატის ქალაქ კატაკის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბამბუკმა გვერდი აუარა კუჭს და კუჭქვეშა ჯირკვალს. გარდა ამისა, ის ოდნავ აცდა აორტას. ყველაზე სერიოზული დაზიანება მამაკაცის სხეულს ლურსმანმა მიაყენა, რომელმაც კუჭი გაუხეთქა.

– დაშავებული მამაკაცი სუნთქვის გართულებას და მუცლის არეში ტკივილებს უჩიოდა, – განაცხადა ექიმმა, – მას ოპერაცია საერთო ნარკოზით გაუკეთდა. მუცლის გაკვეთის შემდეგ იქიდან თითქმის ერთი ლიტრი სისხლი გადმოიღვარა, შემდეგ კი ვიპოვეთ ბამბუკის ჯოხიც.

მამაკაცი ამ დრომდე საავადმყოფოში რჩება.

ქალმა შვილის თანაკლასელების დაცინვის გამო წონაში დაიკლო

ინგლისის ჩეშირის საგრაფოს ქალაქ უორინგტონის მკვიდრმა ქალბატონმა, რომელიც 141 კილოგრამს იწონიდა, თავისი ქალიშვილის გამო წონაში 63 კილოგრამი დაიკლო. თანაკლასელები გოგონას მისი „სქელი დედიკოს“ გამო დასცინოდნენ.

40 წლის სარა ჯონსი რამდენიმე წლის განმავლობაში აპირებდა წონაში დაკლებას. ერთხელ თვითმფრინავში მან უსაფრთხოების ღვედის შეკვრაც კი ვერ მოახერხა, რაც მან დამამცირებლად ჩათვალა. თუმცა მიუხედავად გარშემო მყოფთა დაცინვისა და კარიერული წინსვლის პერსპექტივის არ ქონის გამო, ქალს ვერაფრით გადაეწყვიტა წონაში დასაკლებად დიეტაზე დამჯდარიყო.

ქალისთვის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა მისი შვილების განცდები. ერთხელ მისი 10 წლის გოგონა სილვია სკოლიდან „ანერვიულებული“ დაბრუნდა. როგორც გაირკვა, მას თანაკლასელები დასცინოდნენ იმისთვის, რომ მასწავლებლად მომუშავე დედამისი ძალიან მსუქანი იყო.

ქალმა გადაწყვიტა, რომ მისი შვილები მისივე სიმსუქნის გამო დაცინვის ობიექტები აღარ უნდა ყოფილიყვნენ და გახდომის მსურველთა ადგილობრივ კლუბში ჩაეწერა. მან უარი თქვა ფასტფუდსა და ცომეულზე. პირველივე კვირაში მან სამი კილოგრამი დაიკლო.

ამჟამად კი ჯონსი 78 კილოგრამს იწონის და ორი წლის განმავლობაში მან წონაში 63 კილოგრამის დაკლება მოახერხა.

სპილოების ჯოგმა დაღუპულ სპლიყვს გასვენება მოუწყო

ინდოეთში სპილოების ჯოგმა დაღუპული სპლიყვის „დასაფლავების“ ცერემონია გამართა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა მეტყევემ პარვინ კასვანმა გადაიღო და ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– ეს თქვენ გულგრილს ვერ დაგტოვებთ! ეს არის დაკრძალვის ცერემონია, რომელზეც დამწუხრებული სპილოები დაღუპულ სპლიყვს მიასვენებენ. ოჯახი ვერ შეგუებია პატარის დაღუპვას, – დაწერა ვიდეოს კომენტარში კასვანმა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ გამოდიან ტყიდან გზის სავალ ნაწილზე სპილოები და ხორთუმებით სპლიყვს მიასვენებენ. მათ ფონზე ადგილობრივები ჩანან, რომლებიც გაუნძრევლად დგანან და მზერით აცილებენ ცხოველებს. სპილოები გზაზე გადადიან, სპლიყვს გზის პირას აწვენენ და ჩერდებიან. შემდეგ გზაზე ნელ-ნელა გამოდიან სხვა სპილოები და ყველანი დაღუპულს გარს შემოეხვევიან.

ვიდეოს ბოლო წამებზე ჩანს, რომ ერთ-ერთი სპილო დაღუპულს ხორთუმით იყვანს და გზას აგრძელებს, დანარჩენები უკან მიჰყვებიან.

აღნიშნული ვიდეორგოლი ვირუსული გახდა და 13 ათასზე მეტი მოწონება და 6 ათასზე მეტი გაზიარება მოაგროვა.

უნუგეშო მშობლებმა სხვისი ბავშვი დაასაფლავეს

კანადის ქალაქ ვინიპეგში მშობლებმა ექიმების შეცდომის გამო სხვისი ბავშვის დასაფლავება გამართეს.

აპრილის შუა რიცხვებში ელის კინაკის და ტონი ალაგალაკის ჩვილი ბავშვი ქალაქის საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. ექიმებმა ბავშვის გადარჩენა ვერ მოახერხეს. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვილის ცხედარი მშობლებს დასაკრძალად გადასცეს.

15 მაისს ექიმები მგლოვიარე ოჯახს დაუკავშირდნენ და აღიარეს, რომ საავადმყოფოში შეცდომა მოუვიდათ: მშობლებს სხვისი ბავშვის ცხედარი გადასცეს. მათ განაცხადეს, რომ მომხდარში გასარკვევად ბავშვის ცხედრის ამოთხრაა აუცილებელი.

– ძალიან მინდა გავიგო, ვინ არის მომხდარში დამნაშავე და საერთოდ ეს როგორ მოხდა, – განაცხადა ტონი ალაგალაკმა ჟურნალისტებთან საუბარში.

საავადმყოფოს წარმომადგენლებმა მომხდარის კომენტირებისგან თავი შეიკავეს.

გოგონა საბავშვო მანქანაში შეძვრა და გაიჭედა

შოტლანდიის ქალაქ ბრიხინში გოგონა შეეცადა საბავშვო მანქანაში შემძვრალიყო და შიგნით გაიჭედა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ შეძვრა ზოი არჩიბალდი თავისი პატარა ბიძაშვილის წითელ-ყვითელი ფერის სათამაშო მანქანაში, რათა თავისი ოჯახისთვის დაემტკიცებინა, რომ მასში ეტევა. თუმცა მალევე მიხვდა, რომ გაიჭედა და მისგან თავის დაღწევას ვეღარ ახერხებდა.

ზოიმ რამდენჯერმე სცადა მანქანა მოეხსნა და სულის მოსათქმელად სკამზე ჩამოჯდა. საბოლოოდ გოგონას მამამ სამზარეულოს დანით მანქანის ნაწილი გაჭრა და გოგონა გაათავისუფლა. ნათესავებმა ეს შემთხვევა თავის შესაქცევად ჩათვალეს და ბევრი იცინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

13 ივნისისთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ. ** კურო** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ემოციებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ახალი იდეების განხორციელება სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ძველი პრობლემების მოგვარებასაც ნუ გადადებთ. **კირჩხიბი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ლომი** – ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. ჯანმრთელობას მაქსიმალურად გაუფრთხილდით. იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების რისკი. **ქალწული** – ახლობლებთან ურთიერთობა გეძაბებათ. გამორიცხული არ არის მწვავე კონფლიქტი. **სასწორი** – ყურადღებით იყავით და იოლად არავის მიენდოთ. ცრუ დაპირებების გაცემა არ არის საჭირო. **ღრიანკალი** – ეცადეთ, ადრინდელი უარყოფითი ემოციებისაგან მალე გათავისუფლდეთ. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში ბედი გწყალობთ. კონფლიქტური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ზედმეტად ნუ დაიტვირთებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ. იკვებეთ ჯანსაღად. **მერწყული** – სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები. **თევზები** – ვნებები მოთოკეთ. დაუფიქრებლობა და სპონტანურობა გავნებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. აუქციონ „კრისტი“-ს მფლობელი; 2. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 3. ქართველ სუმოისტ გორგაძის საპატიო ტიტული; 5. სვან მამაკაცთა ცეკვა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. ამერიკული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. აფრიკული ანტილოპა; 16. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. ეკვადორის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი; 4. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის რაიონში; 7. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 8. ჩინელი ფილოსოფოსი; 12. იმრე კალმანის ოპერეტა; 13. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 15. ტბა ჯავახეთში; 17. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. ფრანგი შანსონიე ქალი; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მარაო; 2. ნუბია; 3. წაღვერი; 4. ეტლი; 5. ბორა; 6. ფიურსტი; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ანჩისხატი; 14. ფეტვი; 16. არიბა; 18. კრაკოვი; 20. მარსელი; 23. კოკი; 24. ნაძვი; 25. კოალა; 26. ხოტი.

თარაზულად: 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. მელუა; 13. ონისე; 15. დუომო; 17. ტაბაწყური; 19. კაისა; 21. ფაუნა; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. პასტორალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფიჯი; 2. აგუნა; 3. ბზიფი; 5. აწყური; 6. ფეთხაინი; 9. იპოქონდრია; 10. ბარომეტრი; 11. კატალონია; 14. ომი; 16. სალათი; 18. ზმნა.

თარაზულად: 1. ფიგარო; 4. ღვარცოფი; 7. ხუცესი; 8. ფერხული; 12. დოგმა; 13. მოლოხი; 15. კოლინა; 17. ოდა; 19. ჟანდარმერია; 20. დაისი; 21. კათეტი.

ზურა ხაჩიძე სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილედ დაინიშნა

მომღერალი, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი წევრი ზურა ხაჩიძე სამცხე-ჯავახეთში სამხარეო რწმუნებულის მოადგილედ დაინიშნა.

იგი მხარის გუბერნატორმა ბესიკ ამირანაშვილმა თანამშრომლებს უკვე წარუდგინა. მომღერალი მხარის რწმუნებულის მესამე მოადგილე იქნება და რეგიონში კულტურის, სპორტის, განათლებისა და თვითმმართველობასთან ურთიერთობის მიმართულებით იმუშავებს.

ზურა ხაჩიძის ცხოვრებაში არსებული სიახლე უკვე გახდა საზოგადოების განხილვის საგანი, უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მომღერალს ერთგულება ხელისუფლებამ თანამდებობის მინიჭებით დაუფასა.

ქალეიდოსკოპი

მოდელმა თვითმფრინავში ბავშვები ცხოველებს შეადარა

ინდონეზიელი მოდელი ანჟელა პანარი სოციალური ქსელების მომხმარებელთა მხრიდან კრიტიკის ობიექტად მას შემდეგ იქცა, როდესაც მან თვითმფრინავში ბავშვები ცხოველებს შეადარა.

თვითმფრინავით ერთ-ერთი მგზავრობის დროს მოდელს პატარა ბავშვის გვერდით მოუწია ჯდომა, რომელიც მთელი გზა თითქმის გაუჩერებლად ტიროდა. ამით აღშფოთებულმა 24 წლის მოდელმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი კომენტარით: „უფრო მეტად დავთანხმდებოდი თვითმფრინავის სალონში შინაური ცხოველების შეშვებას, მხოლოდ არა ბავშვებისას“.

გამოქვეყნებიდან ხუთი წუთის შემდეგ პანარიმ ფოტოსურათი წაშალა, მაგრამ ინტერნეტ-მომხმარებლებმა ის შეინახეს და გაავრცელეს.

მათ გოგონა მკაცრად გააკრიტიკეს და აღნიშნეს, რომ ერთხელაც ის შეიძლება თავად გახდეს დედა.

მალე კი მოდელმა ბოდიში მოიხადა.

– პატიებას ვითხოვ ჩემი შეცდომის გამო, რომელიც ჩემი ემოციებიდან გამომდინარე დავუშვი. გაბრაზებული ვიყავი და ამიტომაც გამოვაქვეყნე. პირობა დავდე, რომ ასე აღარასოდეს მოვიქცევი. გაკვეთილი მიღებულია, – დაწერა ინდონეზიელმა მოდელმა.

ეჭვიანმა საცოლემ საქმროს ღვინის ჭიქა სახეში ესროლა

დიდ ბრიტანეთში ეჭვიანმა საცოლემ ღვინის ჭიქა საქმროს სახეში ესროლა და სასამართლოში ამოჰყო თავი.

ინციდენტი 27 აპრილს ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ოლდემში მოხდა. 37 წლის ნატალი პროპეტი არჩი ბარკერთან ერთად, რომელთანაც ოთხი წლის ურთიერთობა აკავშირებს, ალკოჰოლურ სასმელს შეექცეოდა. წყვილი ახალგაზრდა მამაკაცის სხვა გოგონასთან საუბრის გამო შეკამათდა და მათი ურთიერთობა თანდათან დაიძაბა.

გააფთრებულმა პროპეტმა საქმროს ცხვირში გაარტყა, შემდეგ კი სახეში ღვინით სავსე ჭიქა ესროლა. შედეგად ბარკერმა სახეზე ორსანტიმეტრიანი ღია ნაიარევი მიიღო. ხმაური მეზობლებმა გაიგონეს და ოჯახური ძალადობის ფაქტზე პოლიცია გამოიძახეს. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს ადგილზე გასისხლიანებული მამაკაცი და მისი შეშინებული საცოლე დახვდათ. პარამედიკოსებმა დაშავებულს ჭრილობა ოპერატიულად დაუმუშავეს.

– მე მას სახეში ჭიქა ვესროლე, – აღიარა გოგონამ, – ვერ დამიჯერებია, რომ მე ეს გავაკეთე.

პოლიციელები შეეცადნენ, ბარკერისგან ოფიციალური განცხადება მიეღოთ, თუმცა მამაკაცმა შეყვარებულზე საჩივრის დაწერაზე უარი განაცხადა.

ამის მიუხედავად, გოგონას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ის სასამართლოში გამოიძახეს. საქმის მოსმენაზე მამაკაცმა განაცხადა, რომ მისი საცოლე საუბრის დროს მართლაც გაბრაზდა და მარჯვენა ხელი ცხვირში გაარტყა. მან იქვე დაამატა, რომ გოგონას მეორე ხელში ღვინის ჭიქა ეჭირა, რომელიც სახეში ესროლა.

მოსამართლემ პროპეტს 180 საათი აუნაზღაურებელი გამოსასწორებელი სამუშაოები დაუნიშნა.

– ეს საქციელი თქვენთვის არ იყო დამახასიათებელი, და თქვენი თავდასხმა წინასწარ განზრახული არ ყოფილა. თქვენ აღიარეთ საკუთარი დანაშაული და ვხედავ, რომ თქვენ გულწრფელად ინანიებთ. ამასთან თქვენ პარტნიორსაც სურს, რომ თქვენ გაგამართლონ. თქვენ უნდა იზრუნოთ თქვენს ოთხ შვილზე. სოციალური სამუშაოები გონს მოსვლაში დაგეხმარებათ, – დაასკვნა განაჩენის გამოცხადებისას მოსამართლემ ენდრიუ ლონგმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამუნა ლეკვეიშვილი სალომე ზურაბიშვილის ბოლო პაროდიისთვის გააკრიტიკეს

ვანოს შოუს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი თამუნა ლეკვეიშვილი საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის პაროდიას აკეთებს.

თამუნას მიერ ერთ-ერთი ბოლო პაროდია, რომელიც სალომე ზურაბიშვილის მიერ წმინდა ნინოს გზის გავლას ეხებოდა, საზოგადოებამ ყველაზე კრიტიკულად შეაფასა.

მსახიობი არ მალავს, რომ მას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გადაუარეს და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

თამუნამ ბიძინა ივანიშვილის მიერ წმინდა ტრაპეზიდან სანთლის ანთების ფოტო ინტერნეტში გაავრცელა და მიაწერა:

– ქოცებო, ეს შეიძლება – წმინდა ტრაპეზიდან სანთლის ანთება და სალომე ზურაბიშვილის პაროდია არა? 2 დღეა რომ გადამიარეთ...

ნიკოლოზ ხომასურიძემ ამერიკაში ქართული კინოს, კულტურისა და ღვინის პრეზენტაცია გამართა



რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ ამერიკაში ქართული კინოს, კულტურისა და ღვინის პრეზენტაცია გამართა.

ვარნერ ბრაზერს ინტერტეიმენტის კინოსტუდიაში ნიკოლოზის ახალმა კომპანიამ „საქართველოფილმმა“ ამერიკის პროდიუსერთა გილდიის მიერ ორგანიზებულ უმაღლესი დონის პროდიუსერთა კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

ნიკოლოზ ხომასურიძე:

– დიდი ხანი გვქონდა მოლაპარაკებები და ძალზე მოხარული ვარ, რომ ქართული კომპანიის ბორჯღალიანი ლოგო კინოინდუსტრიის ამ უდიდესი კომპანიების გვერდით არის განთავსებული. „გაბედეთ ოცნება და არასოდეს დანებდეთ!“ – ჩემი უდიდესი მადლიერება ჩვენს პარტნიორებს.

ჩემი 10-წლიანი დაუღალავი ბრძოლის, სწავლის, ურთულესი ცხოვრების გაძლების შედეგად ბედნიერი ვარ, რომ შევუერთდით ნამდვილ მსოფლიო კინოინდუსტრიას და ქართულ კინო წარმოებას უმაღლეს დონეზე გადავიყვანთ.

დიდად მადლობელი ვარ თითოეული პიროვნების მიმართ, ვინც ამ ხნის მანძილზე თავისი მხარდაჭერა გამოხატა ჩემი და ჩვენი ეროვნული საქმის მიმართ. ყველა მახსოვს და ათმაგად დაგიბრუნებთ თქვენს ამაგს.

„დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!“ – დიდი პატივისცემით, ნიკოლოზ ხომასურიძე.

პრაღის კვადრიენალეზე ქართველმა სტუდენტებმა გაიმარჯვეს

პრაღაში სცენოგრაფიისა და სივრცის კვადრიენალე მიმდინარეობს და მასში 80-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს.

საქართველომ პრაღაში თავისი პროექტი ორ ნაწილად წარადგინა – საქართველოს ეროვნული კუთხით და სტუდენტური პავილიონი-გამოფენით „მედეა/მედია“, რომლის კურატორიც ცნობილი მსახიობის გიორგი შავგულიძის შვილიშვილი ქეთი შავგულიძეა.

გოგი ალექსი მესხიშვილის სტუდენტების მიერ წარდგენილმა პროექტმა პირველობა არავის დაუთმო და პრაღის ბიენალეს პრიზი მოიგო.

სასიხარულო ინფორმაცია ფოტოხელოვანმა მარი ნაკანმა გაავრცელა:

– მეგობრებო, კოლეგებო, უცნობებო, ნაცნობებო, ქართველებო! პრაღის ბიენალეს ცხენი მოვიგეთ!

ეს არის უდიდესი ჯილდო არტისტებისთვის! ყველა დევნილს მადლობა, ვინც ჩემს ფოტოსესიაში მონაწილეობა მიიღო.

ანრი ჯოხაძემ „ოქროს ტალღის“ მთავარი პრიზი მოიგო

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ მუსიკალური დაჯილდოების „ოქროს ტალღა 2019“ მთავარი პრიზი მოიგო. ანრის ჯილდო გადაეცა სიმღერისთვის „ცივი ნოემბერი“, რომელიც პოეტ ნიკა ჩერქეზიშვილის ლექსზე შექმნა. მომღერალი უკვე მეორედ გახდა „ოქროს ტალღის“ მთავარი პრიზის მფლობელი. პირველად მან ამ ნომინაციაში სიმღერით „განა ყველა ქალი ქალია“ მოიპოვა. მთავარი ჯილდოს, „წლის სიმღერის“ ნომინაციაში გამარჯვებულები, სხვადასხვა დროს გახდნენ ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი, ანრი ჯოხაძე, ნიაზ დიასამიძე, სტეფანე მღებრიშვილი და ნოდიკო ტატიშვილი და სალომე ბაკურაძე.

წლევანდელი „ოქროს ტალღის“ დაჯილდოების ცერემონია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა. კონკურსანტებმა და საპატიო სტუმრებმა წითელ ხალიჩაზე გაიარეს.

კანადელმა შემსრულებელმა, მარკ მარტელმა ლეგენდარული „ქუინის“ კომპოზიციები გორის ქალთა გუნდთან, თბილისის მერიასთან არსებულ ვაჟთა კაპელასთან და ცნობილ ქართველ ინსტრუმენტალისტებთან ერთად წარმოადგინა.

„ოქროს ტალღა 2019“-ის გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში გახდნენ:

წლის დებიუტი – პროჯექტ-ო სიმღერით „არ მახსოვს“;

წლის დუეტი – **გიორგი** და **ლუკა ჭოხონელიძეები** სიმღერით „ისე ძლიერ შეგიყვარე“, რომლის ავტორიც მათი დედა ნატო გელაშვილია;

წლის რიმეიქი – **სოფო ნიჟარაძე** და **საბა კემულარია** სიმღერით „შემოდგომა“;

წლის ჯგუფი/ანსამბლი – **ანსამბლი „შვიდკაცა“** სიმღერით „მხარე ლამაზი“;

წლის ქალაქური სიმღერა – **ლაშა ღლონტი** და **გროს ოქტეტი** სიმღერით „ჩემი ხარ თუ სხვისი ხარ“;

წლის მომღერალი ქალი – **მაკა ზამბახიძე** სიმღერით „ჩემთან ერთად“;

წლის მომღერალი მამაკაცი – **სტეფანე** სიმღერით „შენთან მოვდივარ“;

პრიზი მუსიკის პოპულარიზაციისთვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიიღო **ნანი ბრეგვაძემ**;

მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მამუკა ჩარკვიანი დაჯილდოვდა;

მუსიკალური პროდიუსინგისთვის ჯილდო გადაეცა „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორს **გიორგი კერესელიძეს**.

რადიოჰოლდინგ „ფორტუნას“ რჩეული სოფო გელოვანი გახდა;

მუსიკალური ვიდეოკლიპისთვის დაჯილდოვდა **ნოდიკო ტატიშვილი** სიმღერაზე „მე ვოცნებობდი“ რეჟისორ ნესტან სინჯიკაშვილის მიერ გადაღებული კლიპისთვის;

ინტერნეტრჩეული გახდა **ბაჩო რამიშვილი** სიმღერისთვის „შენ ხარ სამყარო“;

მუსიკალური ტელეპროექტისთვის ჯილდო მიიღო **მუსიკალურმა შოუმ „მხოლოდ ქართული“** და მისმა ხელმძღვანელმა **ნიკა გვარამიამ**.

„ოქროს ტალღა“ უკვე 6 წელია ტარდება და ის ყოველწლიურად უფრო მასშტაბური ხდება.

მიხეილ ზაქარიაშვილი რესტორნებში მომუშავე მომღერლებს პოეტ ზურა გოშაძის დახმარებისკენ მოუწოდებს

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი რესტორნებში მომუშავე მომღერლებს მიმართავს და არაერთი ცნობილი სიმღერისთვის დაწერილი ლექსის ავტორის, პოეტ ზურა გოშაძის დახმარებისკენ მოუწოდებს. პოეტი ქუჩაში რჩება, მის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი უკვე ჩატარდა, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

მიხეილ ზაქარიაშვილი:

– რესტორნებში მომუშავე მომღერლებს მოგმართავთ, „მეგობრობას წამოუდგეთ ფეხზე“, „არღნის ჩიტი“, „ჩემი თბილისის ქალბატონებო“, „გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო“ და კიდევ უამრავ სხვა სიმღერას რომ მღერით, სადღეგრძელოების მიხედვით რომ გაქვთ დაწყობილი და შაბაშებს იღებთ ყოველდღე, ეს ყველა ლექსი ზურა გოშაძეს ეკუთვნის. ახლა მას უდიდესი პრობლემა აქვს, უსახლკაროდ რჩება კაცი, სახლის ყიდვას არავინ გთხოვთ, შანსი გიჩნდებათ, რომ მის მიმართ პატივისცემა გამოიჩინოთ! გადაურიცხეთ ვისაც რამდენი გემეტებათ თქვენი კაცობიდან გამომდინარე, რომ ქუჩაში არ დარჩეს ეს ადამიანი! თუ თქვენ არ გეხებათ ეს ამბავი?!

კომპოზიტორები და პოეტები ქმნიან სიმღერებს ხალხისთვის, თავიანთ ინტელექტს იყენებენ, ფულს და ენერგიას ხარჯავენ, პოპულარული ხდება და გამზადებულ სიმღერებს იწერთ მერე და მაყუთს აკეთებთ! ღმერთმა შეგარგოთ თქვენც და თქვენს ოჯახებსაც, მაგრამ დახმარება თქვენც გეკუთვნით კაცობის და ადამიანობის ამბავში იმ ადამიანების, თორემ ყველა ერთად შევიკრიბებით ამ სიმღერების ავტორები, აგიკრძალავთ ყველას მაგ სიმღერების შესრულებას და თავად შექმენით მერე და იმუშავეთ და აკეთეთ ფულები!

სიკეთეს დანახვა უნდა, ძმაო, ისე განაგლდა ზოგიერთი, რომ საკუთარი სიმღერა რომ შეასრულო რესტორანში, უკვე გიკრძალავენ. ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ არასწორია ეს, ძმაო, არასწორი...

გაყუჩებულები ნუ ხართ, ხმა ამოიღეთ და გვერდში დაუდექით იმ ავტორებს, რომლებიც სიმღერებს გჩუქნიან და თქვენ მაგით ცხოვრობთ ბევრად კარგად, ვიდრე ამ სიმღერების ავტორები. სახეზეც კი ვერ ცნობთ და ისიც არ იცით, ვისი შექმნილი სიმღერაა, ამაყად დგახართ და ისე ასრულებთ, საკუთარი ეგონება ადამიანს! ზოგჯერ გაიკარით ჯიბეზე ხელი და დაეხმარეთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ასეთ ადამიანს! ვინც თქვენზე ნაკლებად იმღეროს საკუთარი სიმღერა, იმი დედა მოვ.....ან მე, ესეც იცოდეთ!

საწყენად არ მიიღოთ, მეგობრულად გეუბნებით სიმართლეს, სიკეთე თქვენც გაგისწორდებათ. ვიცი, სხვაზე ნაკლები არც კაცობა გაქვთ და არც ადამიანობა. გადაურიცხეთ თუნდაც ერთი ლარი ამ ადამიანს და ჩაგეთვლებათ კაცობაში, ღმერთთანაც მართლები იქნებით და იმ ადამიანებთანაც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.7342

ევრო — 3.0940

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4864

100 რუსული რუბლი — 4.703

ამინდის პროგნოზი 13 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

4 ივნისიდან

მარკ ტვენი

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ანეკდოტი

ბიჭი გოგოს ეუბნება:
– ძვირფასო, მინდა სასწრაფოდ მიპასუხო, თანახმა ხარ თუ არა, რომ ცოლად გამომყვე?
– რატომ ასეთი სულსწრაფობა?
– იმიტომ, რომ დედას დავპირდი, ცხრა საათამდე სახლში ვიქნები.

●●●

დედა შვილს ეკითხება:
– იცი რა ემართებათ იმ გოგონებს, რომლებიც ფაფის ჭამაზე უარს ამბობენ?
– კი, ისინი მოდელები გამოდიან.

●●●

საშინლად დაღლილი პროგრამისტი სახლში ღამის პირველ საათზე ბრუნდება. ჭამის თავიც აღარ აქვს, ტანსაცმელს იხდის, საწოლში წვება და ცოლს ეხვევა. ცოლი ეუბნება:
– ძვირფასო, თავი მტკივა.
– მე მხოლოდ ვნახავ, რედაქტირებას არ ვაპირებ...

●●●

ქალაქელი სოფელში ნათესავს ესტუმრა. ზამთარია, გარეთ თოვლია, ყინავს, მასპინძელი ღუმელთან ზის და გიტარაზე უკრავს. სტუმარი:
– გაუმარჯოს!
– გაუმარჯოს!
– და შენი მეუღლე სადაა?
– ეზოშია, შეშას ჩეხს.
– კი მაგრამ, ეს როგორ, შენ აქ, თბილად ღუმელთან ზიხარ, გიტარას უკრავ, შენი ცოლი კი გარეთ, სიცივეში შეშას ჩეხს!
– მე რა ვქნა, გიტარაზე დაკვრა არ იცის და!..

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კოუტინიო: „კარგი სეზონი ნამდვილად არ მქონდა“

ბარსელონას და ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველმა ფილიპე კოუტინიომ გასულ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ მას კარგი სეზონი ნამდვილად არ ჰქონია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ბარსელონადან წასვლას აპირებს.

– წელს იმედები ვერ გავამართლე და ვიცი, რომ ჩემგან გაცილებით მეტს ითხოვენ. შევეცდები, მომავალ სეზონში გაცილებით პროდუქტიული ვიყო და გულშემატკივრები გავახარო. ბარსელონადან წასვლას არ ვაპირებ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას აგვისტოს დასაწყისში მივიღებ, – განაცხადა კოუტინიომ.

ამჟამად კოუტინიო ბრაზილიის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკისთვის ემზადება.

რეალი აზარს 13 ივნისს წარადგენს

მადრიდის რეალი ბელგიელ ვარსკვლავს ედენ აზარს ხუთშაბათს, 13 ივნისს წარადგენს. აზარი გულშემატკივრის წინაშე გამოვა და მის სანახავად სავარაუდოდ ბევრი ხალხი მივა. შეგახსენებთ, რომ აზარმა რეალთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მასში სამეფო კლუბმა 100 მილიონი გადაიხადა.

აზარმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ყოველთვის სურდა მადრიდის რეალში თამაში და ახლა მან ეს ოცნება აიხდინა.

რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თქვა, რომ აზარი რეალის ლიდერი გახდება მომავალში.

მილანს დეიან ლოვრენის შეძენა სურს

მილანი ლივერპულის ხორვატი ცენტრალური მცველით დეიან ლოვრენით დაინტერესდა, რომელმაც ბოლო პერიოდში ლივერპულის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ამის გამო არ არის გამორიცხული, რომ ლოვრენმა ლივერპული დატოვოს.

მილანი მზად არის, ამ ტრანსფერში 40 მილიონი გადაიხადოს, თუმცა ლივერპული, სავარაუდოდ, ამ თანხაზე მეტს მოითხოვს.

ლოვრენი ლივერპულში 2014 წელს გადავიდა და მას ხშირად აკრიტიკებდნენ არასტაბილურობის გამო. ვან დეიკის მოსვლის შემდეგ მან ლივერპულის სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

ისკოს და ზიდანის სახლები გაქურდეს

მადრიდის რეალის მთავარი მწვრთნელის ზინედინ ზიდანის და ნახევარმცველის ისკოს სახლები გაქურდეს. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც რეალს ვარჯიში ჰქონდა. ჯერჯერობით სხვა დეტალები ცნობილი არ არის. ასევე უცნობია, დააკავეს თუ არა ქურდები. ბოლო პერიოდში ფეხბურთელების სახლების გაქურდვის ფაქტებმა მოიმატა და მსგავსი შემთხვევების მსხვერპლი ბარსელონას მოთამაშეებიც გახდნენ.

რეალის ხელმძღვანელობამ თავიანთ ფეხბურთელებს მოუწოდა, რომ სახლების დაცვა გააძლიერონ და უფრო ყურადღებით იყვნენ.

იურგენ კლოპი: „მესი ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოა“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ არგენტინელი ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოა.

კლოპის თქმით, მას ნანახი აქვს პელეს და მარადონას თამაში, მაგრამ მესის უფრო მაღლა აყენებს:

– ბავშვობაში ხშირად ვუცქერდი მარადონას თამაშს და ის საოცარი იყო, მაგრამ ჩემთვის მესი საუკეთესოა. ის ნებისმიერ სხვა ფეხბურთელზე მაღლა დგას.

ლივერპულის წინააღმდეგ მან საოცრად ითამაშა და ბევრი პრობლემა შეგვიქმნა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად; 1. მთიანეთი ციმბირის სამხრეთში; 2. ლაზური ორსართულიანი სახლი; 3. სახელმწიფო აზიაში; 4. შინაური ფრინველი; 5. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 6. ძვირფასი ლითონი; 9. ქართველი კლასიკოსი მწერალი; 10. საერთაშორისო ბაზარზე გატანილი პირველი ქართული სამარკო ღვინო; 11. იტალიური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 18. კინოთეატრი თბილისში; 20. ნიჟარაში ბინადარი უხერხემლო, რბილსხეულიანი ზღვის ცხოველი; 23. ტბა თბილისში; 24. გერმანელი ფილოსოფოსი; 25. გამარტივებული ნახაზი; 26. იაპონური ხის ქოშები.

თარაზულად: 7. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 8. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 12. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა გარსი; 17. ტერიტორიული ერთეული; 19. მუზეუმი პარიზში; 21. ღვინის თიხის სასმისი; 22. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 27. დანიელი მეზღაპრე; 28. დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმების შემსწავლელი მეცნიერება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ფუ ფანგ დან შენ პიან
Fu fang dan Shen pian

გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი

ischemic heart disease
high cholesterol

მაი ვეი დი ჰუანგ ვან
Mai vei di huang van

ჭარბი ოფლიანობა

excessive sweating

ნუან გონ იუენ ძ ვან
Nuan gong yun zi wan

ციკლის მოწესრიგება და უშვილობა

cycle regulation.
Infertility

სიაო ჯ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან
Xiao qe wan + liu vei di huang wan

არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში

regulates
sugar levels
in blood

ჩუან სიან ჩა თიაო ვან
Huan xiong cha tiao wan

თავის ტკივილი, გაცივება, სისუსტე

head ache, ill,
weakness

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/